ავგისტო
1929 წ.
№ 44

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
AOUT
1929—№ 44

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

მ ი ნ ა ‍ ა რ ს ი:

მეთაური—ავათმყოფი რუსეთი.
—ლი—ვ—საქართველო ციფრებით.
ა. შულგინი—უკრაინის საკითხი.
ნ. შავიშვილი—ლტოლვილთა პრობლემა.
გუშაგი—«კავკასიონი» (წიგნი პირვ. და მეორე)
ბარბიუსი ღალატობს ჩაგრულთა საქმეს.
29 ავგისტო.
საქართველოს საკითხი.
რას სწერენ ბოლშევიკებზე.
ია—კომპარტიის მე-6 ყრილობა. და სხ.

ავათმყოფი რუსეთი

გასულ საუკუნის მიწურულში და მიმდინარეს დასაწყისში არსებობდა ერთი ავათმყოფი ქვეყანა—ოსმალეთი აბდულ ჰამიდისა. დღეს არსებობს მეორე ავათმყოფი ქვეყანა—რუსეთი სოსო ჯუღაშვილისა. აბდულ ჰამიდს, მის ქვეშევრდომთა სისხლში ბანაობისათვის, წითელი სულთანი დაერქვა მეტსახელად. სოსო ჯუღაშვილი არ ატარებს ასეთ მყვირალა სახელს, თუმცა სტალინმა ბევრათ გადააჭარბა წითელ სულთანს სწორეთ ამ ხელობაში.

ჩვენ არ გვინდა განვაგრძოთ ეს შედარება, მით უფრო, რომ ძველ ოსმალეთსა და დღევანდელ რუსეთს შორის, რამდენათ მათ შინაგან სტრუქტურას ვეხებით, განსხვავება უფრო დიდია, ვინემ მზგავსება.

შესადარებელია მხოლოდ ის ალმაცური, აგდებული მოპყრობა, რომელსაც უცხო ქვეყნები რუსეთის მიმართ იჩენენ. მართლაც, მეტათ დასნეულებული და დაძაბუნებული უნდა იყოს უკანასკნელი, რომ ის მოსვლოდა, რაც მოუვიდა... ჩინეთისგან!

ვინ იფიქრებდა ამ თორმეტი წლის წინეთ, რომ რუსეთის მაღალ მოხელეთ ასე ადვილათ აუკრავდენ ბარგს მანჯურიიდან, ან კიდევ, რუსეთის ხაზინით აშენებულ ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის-გზას ასე უბოდიშოთ დაეპატრონებოდენ? არავინ, რა თქმა უნდა, მაგრამ დღეს ეს ხალასი სინამდვილეა და არც არავის უკვირს!

არ უკვირთ, პირველ ყოვლისა, თვით კრემლის ჯიელებს, მიუხედავათ მათი «საზოგადოებრივობისა» დიდი აღშფოთებისა და რეზოლიუციებისა. ჩინეთის მთავრობას ჰგონია, რომ ასეთი მოქმედება მას დაუსჯელათ ჩაუვლისო—ამბობს ყარახანი ერთ თავის ნოტაში. სრული სიმართლეა, ჩინეთს რომ სხვანაირათ ჰგონებოდა, ასე არ მოიქცეოდა,—და ამაშია სწორეთ მოსკოვის ტრაღიზმი. სახელმწიფოს ღირსებისა და უფლების დასაცავათ სულაც არაა ხშირათ საჭირო ომი და დავიდარება, საკმარისია საერთაშორისო პრესტიჟი და პატივისცემა. მოსკოვს არ მოეპოვება არც ერთი, არც მეორე, ხოლო მანჯურიის ისტორიამ ხომ მთლათ ფარდა ახადა ამ აგდებას და ამ უძლურებას.

უძლურების მომასწავებელი იყო მოსკოვის ულტიმატუმიც, რომელიც სამ დღეში სტატუსქვოს აღდგენას მოითხოვდა... წინაამდეგ შემთხვევაში სხვა ზომებს მივმართავთო—იმუქრებოდა ის. რა ზომები იყო ეს, ადრევე იცოდა ჩინეთმა თვით ყარახანის მაგალითიდან, როცა ჩან-სო-ლინის მიერ რუსეთის საელჩოს გაჩხრეკის შემდეგ, პეკინში, ელჩმა მოსკოვს მოკურცხლა. ეხლა სამაგიერო გადაუხადა ყარახანმა ჩინეთის ელჩს მოსკოვში—აიძულა წასულიყო, თავისით კი დიახაც არ მოუკურცხლავს მხდალი ყარახანივით.

ამასთანავე, დიდმა სახელმწიფოებმა დაიხსნეს მოსკოვი სასაცილო მდგომარეობიდან, რადგან, ცხადია, გარდა დიდი ზარალისა, მას მოელოდა საერთაშორისო ყბადაღება. ამოქმედდა სამინისტროები ვაშინგტონსა და პარიზში: მოსკოვმა ხომ ხელი მოაწერა კელოგის პაქტს, აგრეთვე ნანკინმა, ამბობს სტიმსონი, და ამასვე გადასცემს ბრიანი ორივე ქვეყნის ელჩებს. დიახაც რომ მოვაწერე—ერთნაირათ უპასუხებენ მოსკოვიდან და ნანკინიდან—, მე არც კი მიფიქრია ომი, ოღონდ მეორე მხარე თავის საზღვრებში დაეტიოსო.

და, მართლაც, ისინი სიამოვნებით ეტევიან თავიანთ საზღვრებში, მიუხედავათ სარდლების დანიშვნისა და იარაღის ძალიან მორიდებულათ ჩხარუნისა. მოსკოვი მადლობას უთვლის პარიზს, ხოლო შენს შუამავლობას ვერ მივიღებ, ჩინეთს უშუალოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ველაპარაკოთ. პარიზში იცინიან: ვერ გაგიგიათ, ჩვენ შუამავლობა კი არ შეგთავაზეთ, კელოგის პაქტი მოგაგონეთო.

და საქმე იმით თავდება, რომ მოსკოვი და ნანკინი მართლა იწყებენ უშუალო მოლაპარაკებას, მხოლოდ... იმ განსხვავებით, რომ პირველი ფაქტიურათ ჩამოშორებულია თავის ქონებასა და უფლებას მანჯურიაში, მეორე კი მზათაა თვეები და წლები ილაპარაკოს «რევოლუციურათ» წართმეულის შესანარჩუნებლათ. ამას ხომ კიდევ ულტიმატუმის პასუხად შესთავაზებდა ნანკინი მოსკოვს!

არსებითათ, დავის განხილვაზედ დიდხანს არ შეგაჩერებთ მკითხველს. ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინისგზა მილიარდ ოქრომდე ულირდა ცარების მთავრობას, რომელმაც ამ თანხის ნახევარზე მეტი ფრანგებისგან ისესხა; ის გაგრძელებაა მთავარი ძარღვის—ციმბირის დიდი ლიანდაგის—ოკეანემდე, ვლადივოსტოკში. აქედან, მისი მნიშვნელობა განუზომელია. მოსკოვისთვის მას კიდევ ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ყოველ წლივ მილიონებს იღებდა ამ გზიდან, უცხო ვალიუტის სახით.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, ყველას ეგონა, რომ ჩინეთ-აღმოსავლეთის გზას იაპონია დაეპატრონებოდა და მით «დაარგვალებდა» რუსეთისგან 1905 წ. წართმეულ ჩინეთ-სამხრეთის გზას. მაგრამ ეს არ მოხდა; ვაშინგტონის კონფერენციამ, 1922 წ., განსაკუთრებული მზრუნველობაც კი გამოიჩინა, რომ გზა საერთო სარგებლობაში დარჩენილიყო და ვალებიც გაესტუმრებია. ამასობაში მწვავდება სამოქალაქო ომი ჩინეთში და მოსკოვი სარგებლობს ამით, რომ შეუთანხმდეს პეკინის და მუკდენის მთავრობათ, რასაც კიდეც აღწევს 1924 წ. მან ბევრი დასთმო, მაგ., გზის სადარაჯო ჯარის ყოლა მანჯურიაში, მაგრამ მართველობის და მოგების მენახევრობა მაინც დაიტოვა თავისთვის.

შემდეგ ხომ კომინტერნის დამარცხება მოხდა ჩინეთში, რომლის რევოლუცია უფრო ხერხემლიანი გამოდგა, ვინემ მოსკოვიტების, აქედან აშლა და გადაკიდება ნანკინსა და მოსკოვ შორის. ჩინეთ-აღმოსავლეთის გზა უძლიერესი იარაღი გახდა მოსკოვის ხელში გაერთიანებულ ჩინეთის ისევ ასაფეთქებლათ.. ეს ხომ კომინტერნის ხელობაა და ამ გზაფხულს მომხდარმა ჩხრეკა-ჭერამ ხარბინში მართლა აღმოაჩინა ნამდვილი შეთქმულობა. მოსკოვიტებს, სხ. შორის, ჩინეთის მესვეურთა ტეროორით მოსპობა განუზრახავთ, ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის-გზის დანგრევაც კი!

რატომ ეს უკანასკნელი? იმიტომ, რომ 1936 წელს ვადა გაუდის მოსკოვის კონცესიას და გზა ისედაც ჩინეთზე უნდა გადვიდეს. ნანკინმა ისარგებლა მოსკოვის ვერაგული მოქმედებით და ნება დართო მუკდენის ხელისუფლებას ერთის დაკვრით მოეღო ბოლო მისი თანაწილობისათვის ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის-გზაზედ. აქედან კონფლიქტიც.

რატომ არ მოისურვა მოსკოვმა კონფლიქტის საერთაშორისო სამსჯავროზე გამოტანა? განა ცხადი არ იყო მისთვის, რომ ხელშეკრულების დარღვევას ჩინეთს არავინ მოუწონებდა? აიღეთ სტიმსონი, ამერიკის საგარეო მინისტრი, ისიც კი მოითხოვდა ჩინეთისგან სტატუს-ქვოს აღდგენას, სანამ მოლაპარაკებას დაიწყებდენო.

მაგრამ საერთაშორისო სამსჯავრო ხომ კომინტერნის დაუსრულებელ პროვოკაციებსაც გამოაშკარავებდა! განა ხარბინში დაჭერილ გეგმებში არ ამოიკითხავდენ იმავე კომინტერნის დაუზარებელ ბრძოლას საზოგადოთ იმპერიალისტურ კონცესიების წინაამდეგ ჩინეთში? რას ეტყოდა მაშინ მოსკოვი იმპერიალისტებს?

აი, რამ აარჩევინა მოსკოვს «უშუალო» გზა ჩინეთთან, თუ გინდ მას მანჯურიაზე ხელის დაბანაც კი მოუხდეს. მოუხდება ალბათ, რადგან მას არ ძალუძს საკუთარის ძალით რუსეთის ღირსებისა და უფლების დაცვა.

მით უფრო, რომ ახლათ ფეხადგმული დიდი ჩინეთი სტიქიურათ ესწრაფვის ყველა კონცესიების და უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებას. და ამიტომ დაიწყო მან... რუსეთიდან, როგორც უფრო სუსტიდან!

ცხადია, რად წაესარჩლეს დიდმა სახელმწიფოებმა მოსკოვის კონცესიას,—გამოდის, იმპერიალისტებმა გადაარჩინეს საბჭოთა კავშირი სასტიკ დამარცხებისა და დაშლისაგან!

ამერიკამ იმიტომ აღიმაღლა პირველმა ხმა, რომ მას ეშინოდა იაპონიის ჩარევის, რომელიც მანჯურიის გადმოღმაც იყურება, ციმბირისკენ. საფრანგეთი ნახარჯია, როგორც იტყვიან, ინგლისსაც თავისი კონცესიები აფიქრებს... ერთი სიტყვით, დიდ სახელმწიფოთა საერთო ინტერესები თუ მათი დაპირდაპირება—აი რა შველის რუსეთს ხიფათი თავიდან აიცილოს.

ისე, როგორც ოდესმე ოსმალეთს! წითელ სულთანს დიდი დიპლომატის სახელი ჰქონდა გავარდნილი, რადგან ის ჴოხდენილათ იყენებდა დიდ სახელმწიფოთა ურთიერთ მ ეტოქეობას, რომ თავი დაეძვრინა დღეს ერთის, ხვალ მეორის კლანჭებისაგან.

შესწევს კი ეს ხერხი და უნარი სტალინს? არა, და ეს უფრო იმიტომ, რომ ის სხვა მეთოდს მიმართავს: პირველ აგვისტოს! ე. ი. ომი ყველა ქვეყნებს მათივე მშრომელი ხალხის წასევით.

ეს მეთოდი არ აშორებს, პირიქით, აახლოებს რუსეთისთვის უდიდეს ხიფათს გარედან. დიდი სახელმწიფოები, რომელნიც ხედვენ, რომ ერთი ვეება სახელმწიფო, დედა-მიწის მეექვსედი, სულ იმის ცდაშია, რომ ისინი შიგნიდან ააფეთქოს, ბუნებრივია, თუ თავის ზომებს მიმართვენ...

მაშასადამე, სტალინს არ დარჩენია ის გაძრომ-გამოძრომის შანსიც, რაც წითელ სულთანს ჰქონდა; უნდა ჩხრიკოს, სანამ თავის დასაკლავ დანას არ გამოჩხრეკს.

უნდა გეყურებიათ, როგორ შეხვდენ რუსის ემიგრანტები რუსეთ-ჩინეთის კონფლიქტს! მარცხენა ბანაკში ერთი ცას შეღაღადებდა, მეორე მიწას: ომი ნუ, თორემ დაიშლებაო (რუსეთი). მარჯვენა ბანაკში გულს იფხანდენ: ომმა შვა, ვინძლო ომმა შთანთქასო (ბოლშევიზმი). იქ, მანჯურიაში, «თეთრები» ჩინელებს უქირავდებიან სამშობლოზე შესატევათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავის გახსენებია თვით რუსის ხალხი, არსაიდან ბრძოლის ყიჟინა ერთად ერთ მტერის—კრემლის შესამუსრათ.

როგორ გნებავთ ამის შემდეგ, უცხოეთს პატივი და რიდი ჰქონდეს რუსეთისა! ამ უკანასკნელმა 12-მა წელმა ბევრი რამ ასწავლა უცხოეთს და, სხ. შორის, ისიც, რომ ბოლშევიზმი ერთგვარი ჭირია, რუსული ჭირი, არგადამდები, მართალია, როგორც ეს დაამტკიცეს დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებმა, მაგრამ მით უფრო საშინელი, რამდენათ საბჭოთა მთელი სახელმწიფო აპარატი მის ძალათ შეშხაპუნებას ლამობს სხვა ქვეყნების საღ ორგანიზმში.

ამ რიგათ, რუსეთიც იბრძვის თავისებურათ, როგორც ოსმალეთი ოდესმე, ხოლო პირველი იმასვე მიაღწევს უფრო ადრე, ვინემ მეორემ მიაღწია: დაშლას ეროვნულ სახელმწიფოებად...

მაშინ დაიწყება თვით რუსის ხალხისთვის ნამდვილი ეროვნული ისტორია, ნაცვლათ ბოლშევიკურ-კოსმოპოლიტურისა.

საქართველო ციფრებით

(ცდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის მიმოხილვისა)

3.

საქართველოს სოფლის და ქალაქის დამოკიდებულების გასაშუქებლად საჭიროა ვიცოდეთ ყველა ჩვენი ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა.

აქაც უნდა ვსთქვათ, რომ ჯერ-ჯერობით ამაოცდა იქმნება, გავიგოთ ამ მოსახლეობის სწორი და უტყუარი რიცხვი. ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს შესახებ სტატისტიკური მასალები უმთავრესად ან «ცარიზმის» დროსაა შეკრებილი და ან ბოლშევიკების. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკურ დაწესებულებებს არც მაშინ აკლდათ და არც ესლა აკლიათ სინდისიერი მუშაკები, პროფესიანული რიგიანობით ცნობილნი,—ჩვენ მაინც ვერ ვენდობით სავსებით ამ ხანებში დაგროვილ მასალებს. საქმე სტატისტიკურ მშრალ მასალის დაგროვება-კი არ არის, მთავარია ამ მასალის გადამუშავება, შეჯგუფება და უტყუარი ჯამების და დასკვნათა გაკეთება, რაც უაღრესად მოითხოვს მეცნიერულ მეთოდების მტკიცეთ მომარჯვებას, პროფესიანულ კეთილ-სინდისიერებას და პოლიტიკურ რიგიანობას. ასეთ რამეებზედ-კი ბოლშევიკური ხელმძღვანელნი ისევე შორს სდგანან, როგორც შორს იყვნენ «ცარიზმის» ბიუროკრატები...

როგორც წინა წერილიდან დავინახეთ, უკანასკნელი ოფიციალური წყაროები საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა საერთო რიცხვს უჩვენებენ 564.321 სულს. ამ ჯამში ქ. ტფილისის მოსახლეობის რაოდენობა ჩაითვლება 289.900, მაშინ როდესაც თვით ბ-ნი რუხაძე, ეს ნაფიცი ბოლშევიკი-ეკონომისტი მოწმობს, რომ იმ წელს (1926) ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 294.044 სულს. ჩვენისთანა პატარა ერისათვის ათი-ათასების მომატება-დაკლება საგრძნობი შედეგების მომასწავებელია და ამიტომაც არის, რომ ერთობ დიდი სიფრთხილეა საჭირო ბოლშევიკური მასალების სარგებლობის დროს.

1926 წლის ოფიც. მასალებში ნაჩვენებია, რომ 36.260 სული ბინადრობდა დაბებში. ამნაირად საქართველოს სოფლის გარეთ, ე. ი. ქალაქებში და დაბებში ერთად ცხოვრობდა სულ (564.321+36.260)=600.581 ორივ სქესისა. ეტყობა ზოგიერთ შემთხვევაში დაბების მოსახლეობის ერთი ნაწილი ქალაქის მცხოვრებლებლად ჩაურიცხავთ და დანაშთენები-კი სოფლის მოსახლეობასთან მიუწერიათ. ამით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ზოგან (იხ. ე. პაპავას საყურადღებო წერილი ჟურ. «კავკასიონში». წიგნი მეორე. პარიზი) საქართველოს ქალაქების მოსახლეობა აყვანილია 594.221 სულამდე და სოფლისა—2.072.273-მდე (იქვე).

ასეთი მითვლა ჩვენც მიზან-შეწონილად მიგვაჩნია. ყოველს შემთხვევაში ჩვენებურ ზოგ დაბას უფრო აქვს ქალაქური ელფერი (არა ნაკლები, მაინც!) ვიდრე ამისთანა, ძველადვე ქალაქად ცნობილს ერთეულს, როგორიც, მაგ. ახალქალაქია (ჯავახეთში).

ამნაირის შესწორების შეტანით საქართველოს მოსახლეობა (1926 წ.) ასეა განაწილებული:

ქალაქად	პროც.	სოფლად	პროც.	სულ
594.221	22.3	2.072.273	77.7	2.666.494 (ე. პაპავა).

საინტერესოა გავეცნოთ, როგორია ეროვნებათა ხვედრითი წონა რესპუბლიკის მოსახლეობის ამ დანაწილებაში:

ეროვნებანი	ქალაქებში მცხინადრენი	პროც.	სოფლად მცხინადრენი	პროც.
ქართველები	286.756	48.25 პრ.	1.501.430	72.45 პრ.
სომხები	149.545	25.16 პრ.	157.473	7.59 პრ.
რუსები	70.403	11.84 პრ.	25.682	1.23 პრ.
ყველა დანარჩენები (10-ე ირიცხ.	87.517	14.75 პრ.	387.688	18.73 პრ.
სულ:	594.221	100 პრ.	2.072.273	100 პრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ უფრო ნათლად გავერკვიოთ აქ მოყვანილ ცნობებში, საჭიროა ისიც ვიცოდეთ—რა ცვლილება ხდებოდა ერთს რომელსამე პერიოდში. ამისთვის მოვიყვანთ უფრო დეტალურს ცნობებს 1917 და 1926 წლებ.

წლები	ქართვ.	პრ.	სომხები	პრ.	აზერ. თ.	პრ.	ოსები	პრ.	რუსები	პრ.	აფხ.	პრ.	დან.	პრ.	სულ.
1917 *)	1.800.910	73	197.360	8	98.680	4	197.360	8	49.340	2	49.340	2	74.010	3	2.467.000.
1926	1.788.186	67,1	307.018	11,5	137.921	5,2	113.298	4,3	96.085	3,6	56.847	2,1	167132	6,2	2.666.494.
ჯამი მომ. (+), ან დაკლებ(—) 1926 წ.	—12724		+109.658		+39.241		—84.062		+46.745		+7.507		+93.129		+199.494.

ბევრს რასმე მეტყველებენ აქ მოყვანილი ცხრილები.

საკმაო არის ადამიანმა, ოდნავათაც არის, გადაავლოს თვალი ამ არითმეტიკულ ნიშნებს, რომ მის წინ გადიშალოს სრული სურათი ქართველი ერის იმ შევიწროების და დამცირებისა, რომელსაც განიცდის ჩვენი ხალხი, აგერ 120 წელიწადია, რუსებისაგან: მათგან პატივ ახდილი და უფლებას აყრილი.

თუ 1917 წლის ცნობებს ჩავთვლით, როგორც იმ ჯამს, რომელიც «ცარიზმის» ბატონობას ახასიათებს ჩვენში,—1926 წლის ცნობები მოწმობენ საქართველოს იმ შევიწროებას, რომელიც აგერ 8 წელიწადია ადგია მას ბოლშევიკების თარეშობით.

ვეცნობით აქ მოყვანილ სტატისტიკურ მასალას და გულახდით უნდა აღვიაროთ, რომ ვერ გაგვიბედნია ყველა ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომელიც ძალაუნებურად გველანდება წინ. ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოს. ქართველი ერის ასეთი განადგურება, რომელიც ამ ცნობებში მოსჩანს, სწორედ განმეორებაა აღა-მაჰმადის მიერ საქართველოს აკლებისა. თუ 1917 წელს ქართველების რიცხვი საქართველოში 1.800.910 იყო (როდესაც საერთო მოსახლეობა 2.467.000-ს უდრიდა), ცხრა წლის შემდეგ, ე. ი. 1926 წელს, ქართველების რაოდენობა სულ ცოტა, 1.962.990 მდი უნდა ასულიყო. და აი რატომ: წლიური ზრდა ქართველი ერისა ჩვენგან მიღებულია 1,1 პრ. რაიც დაბალ ზომად უნდა ჩაითვალოს, შედარებით ჩვენ მეზობელ რესპუბლიკებთან. სიმარტივისთვის ვიანგარიშოთ მხოლოდ ერთი პროცენტი. ეს მოგვცემს მომატების ჯამს 162.080 ორთავ სქესისას. როგორც ცხრილი გვიჩვენებს ქართველების რიცხვს მომატების მაგიერ დაუკლია 12.794 სული, და ამ რიგად 1917 წლიდან დაწყებული ჩვენი ერის დეფიციტი გამოდის (162.080+12.794)=174.874 (დანამდვილებით-კი, ე. ი. 1,1 პროცენტის ანგარიშით დეფიციტი 191.074-მდე ადის).

1917 წლის ცნობები ჩვენ ამოვიღეთ პატივცემულ დ. აფხაზის წიგნიდან, (Les richesses naturelles de la Géorgie), რომელიც სარგებლობდა რუსულ ოფიციალურ წყაროებს. მას ნაჩვენები აქვს ეროვნებათა ხვედრითი წონა საქართველოში მხოლოდ პ რ ო ც ე ნ ტ ე ბ ი თ. რაოდენობის გამოანგარიშება კი ჩვენ მოვახდინეთ და სიფრთხილისთვის სხვებსაც შევამოწმებინეთ, ასე რომ, ვგონებთ, შეცდომა არა დაგვიშვია რა.

1926 წლის ცნობებიც ოფიციალურ წყაროებიდანაა ამოღებული, ისევ რუსის მოხელეების მიერ გადამუშავებული, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ეს მოხელეები ბოლშევიკები არიან. ასე რომ თუ რამე შეცდომაა აქ დაშვებული, იმ რუს მოხელეების ბრალია, რომელნიც 1917 წ. და 1926 წ. ამუშავებდენ საქართველოს სტატისტიკას. ქართველ მოდგმის მოსახლეობის ასეთი დაკლება ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია და თუ ზემოდ მოყვანილი ცხრილები რამეს მოწმობენ, ეს მხოლოდ—მათი სტატისტიკის უვარგისობას! ამიტომ ჩვენ დღესაც დანამდვილებით არ ვიცით, როგორია საერთო რიცხვი ქართველებისა და საზოგადოთ საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა. პირადათ ჩვენც ვეცადეთ სხვა საშუალებებით, მოხვეულის გზით, გამოგვერკვია ქართველების რაოდენობა ჩვენს სამშობლოში; ყველა საჭირო მასალის უქონლობის გამო სხვადასხვა რაოდენობას ვღებულობთ; აქ არ მოგვყავს ის ჩვენი ანგარიში, მხოლოდ ვიტყვით, რომ მიხედვით არსებული მასალებისა, ძალიან შესაძლებელია, რომ ორ მილიონამდეც იყოს ქართველი მოდგმის მოსახლეობა საქართველოში. სიფრთხილისთვის კი ვიტყვით, რომ ქართველების მოსახლეობა უნდა იყოს—ორი მილიონი.

ნამდვილი რიცხვი მხოლოდ მაშინ გვეცოდინება, როდესაც ხელ-მეორედ მოხდება ჩვენი ერის აღრიცხვა, სწორი მეცნიერული მეთოდების მიხედვით და, რასაკვირველია, სულ ახალის ხელმძღვანებლების მეთაურობით. მანამ-კი, მეტი ღონე არ არის, უნდა ვისარგებლოთ ის, რაც გვაბადია, სადაც თუ აბსოლუტურ სიმართლეს ვერ ვპოვებთ, იმ ტენდენციას მაინც ვიხილავთ, რომლითაც ხელმძღვანებლობდენ საქართველოს ძველი და ახალი მამინაცვლები.

ეს ტენდენცია სრულიად მარტივია: შემოღება საქართველოში ისეთი პოლიტიკურ, ეკონომიურ, ადმინისტრატიულ და სხვათა ზომების, რომელნიც ხელ შეუშლიან ქართველ მოსახლეობის ზრდას და გაღონიერებას, და სამაგიეროდ კი ხელს შეუწყობენ არა ქართველი ელემენტების გამრავლებას; სულ ერთია ვინც უნდა იყოს ეს ელემენტები, ოღონდ კი მოსახლეობა ისე აჭრელდეს, რომ თვით საფუძველი გამოეთხაროს საქართველოს დამოუკიდებელ და თავისუფალ არსებობას. ყველა ეს ნათლად მოსჩანს 1917 და 1926 წლების ცნობების შედარებით და თუ ბოლშევიკურ სტატისტიკას მეტი ცნობის მოცემა არ შეუძლიან, ესეც საკმაო არის, რომ ქართველებს ერთხელ კიდევ, ამ შემთხვევაში უკვე ციფრებით, დაგვიყენოს თვალწინ ის საშიშროება, რომელსაც

*) თუმცა 1917 წლის საქართველოს საზღვრები ის არ არის, რაც 1926 წელს გახდა, წყალობითა და შეწევნითა ბოლშევიკებისა, მაგრამ ამ გარემოებას არ უნდა მოეხდინა გავლენა საკუთრივ ქართველ მოსახლეობის რაოდენობაზედ.

ასეთის ვერაგობით უმზადებენ ჩვენს ქვეყანას დღევანდელი მისი მტარვალები.

ვიმეორებთ, აქ მოყვანილ ცხრილების აბსოლუტური ციფრები ჩვენ ყალბად მიგვაჩნია, ჩვენთვის საყურადღებოა იმ ტენდენციის გამომჟღავნება, რომელიც ამ მასალებში მოსჩანს, ტენდეციის, რომელიც ასე დამახასიათებელია რუსული პოლიტიკის საქართველოში და მათი ყურმოჭრილ ყმების და თანამშრომლების ქართველ ბოლშევიკ-კომუნისტების. მაგრამ სულ ამაოა მათი ცდა. საქართველოს მტრებს ჩვენ ვეტყვით შემდეგს: აგერ 120 წელიწადია, რაც ქართველების განადგურების პოლიტიკას მისდევთ; თქვენზედ წინაც ყავდა საქართველოს მტრები, რომელნიც დედა-მიწის ზურგიდან აღგვას უქადდენ მას; ბევრმა სწორედ თქვენისთანა ზომებსაც მიმართა საქართველოს ერის მოსასპობად; მართალია, თქვენზედ უსაძაგლესი ხერხები აქამდინ არავის მოუგონია ჩვენს საწინააღმდეგოთ, მაგრამ... საქართველო მაინც ცოცხლობს. ორი ათასი წლის ისტორიამ შესძინა ჩვენს ერს ის უძლეველი ძალა, რომელსაც იგი გამარჯვებული გამოყავს თვით უსწორო ბრძოლაშიც. და აი მაგალითები,—ამას ჩვენ ხომ არ ვამბობთ, თქვენ თვითონ ხართ იძულებულნი აღიაროთ ეს სიმართლე. მაინც!—

მიუხედავად ქართველ ერის საწინააღმდეგოთ მიმართულ ზომებისა, თქვენ თვითონ მოწმობთ:

1926 წელს საქართველოს მოსახლეობა უდრიდა 2.666.494 სულს, ორივ სქესისა.

აქედან ქართველები შეადგენენ დიდს უმრავლესობას=67,1 პრ.; ქალაქებში მცხოვრებთა შორისაც პირველობა ქართველებისაა: 48,25 პრ., სოფლის მოსახლეობის დიდს უმრავლესობას მაინც ქართველები შეადგენენ 72,45 პრ.!

ეს ცოტაა: ქართველი ერის მნიშვნელობა დიდია არა მარტო თქვენს ტყვეობაში მყოფ საქართველოში. ქართველებს პირველი ალაგი უკავიათ, თქვენისავე ცნობებით, სრულიად ა.-კავკასიის მცხოვრებთა შორისაც: (იხ. 1927 წლის «სბორნიკი»).

1922-23 წლებში, საერთო რიცხვი მცხოვრებლების ა.-კავკასიაში ყოფილა 5.082.985 და აქედან:

აფხაზნი	ადერბ. თურქნი	სომხები
0,7 პრ.	23,8 პრ.	23.5 პრ.
ქართველები	რუსები	დანარჩენი
34,6 პრ.	5,2 პრ.	12,2 პრ.

დიაღ, მიუხედავად ათასი ტანჯვის, წყვეტის და წამების ქართველი ერის დღეგრძელობა სწორედ ასეთია, რომლის დაფარვა საქართველოს მტერთაც კი ვერ მოუხერხებიათ.

დიაღ, საქართველო ცოცხალია!

(გაგრძელება იქმნება)

—ლი—ვ.

უკრაინის საკითხი

1. ეთნიური მხარე.

უკრაინის ერს უკავია ფართო ტერიტორია, 800 ოთხკუთხ კილომეტრზე მეტი, ე. ი. საფრანგეთზე მეტი ადგილი*). წმინდა უკრაინული მოსახლეობა შეადგენს 37 მილიონს. ეს ხალხი განსხვავდება გარემო ხალხებისგან ანთროპოლოგიურად, ეთნოგრაფიულად, თავის გადმოცემებით და ჩვეულებებით. ანთროპოლოგიური გაზომვა ნათლად აამჟარავებს უკრაინელ ერის განსხვავებულ ტიპს, მის ეროვნულ თავისებურობას. იგი განსხვავდება ველიკორესებისაგან მეტად გარკვეულის ნიშნებით. ამ ორ ერს შუა ეთნიური საზღვრის დანახვა მეტად ადვილია. ამისთვის საკმარისია ზერელე თვალის გადავლებაც. ერთ მხარეზე თქვენ ხედავთ უკრაინულ წესით დალაგებულ და აშენებულ სოფლებს, მეორე მხარეზე—გეგმა და ნაშენობა წმინდა რუსულია. უკრაინულ სოფელში პატარა თეთრი სახლებია, ისლით დახურული და ყველა გარშემორტყმულია ბაღით და ისეთ შთაბეჭდილებას ღებულობთ, თითქოს მთელი სოფელი მწვანეშია გახვეულიო. რუსების სახლებს კი მოწყენილობის ბეჭედი აზის, როგორც ჩრდილოეთის შენობებს. იმვიათად თუ შეხვდებით გარშემო ხეებს. სახლი ხისაა, შეუღებავი, დაღვრემილი სახის; დახურულია ფიცრით და დაქანებულია სახურავი ორ მხრისკენ და არა ოთხის მხრით, როგორც უკრაინაში. ეზო და სახლების შიგნითი მორთულობაც სულ სხვა და სხვა ნაირია რუსების და უკრაინელების. საზღვარზე, სადაც რუსები და უკრაინელები მეზობლად ცხოვრობენ, ვერსად შეხვდებით შენობებს ნაწილობრივ უკრაინულად აგებულს და ნაწილობრივად რუსულად, არ ხდება ამ ორი ტიპის შერევაც.

განსხვავდება უკრაინელების და რუსების ტანსაცმელი, წესი, ჩვეულება. რუსის და უკრაინელი გლეხები ერთმანეთის ქალებს ცოლებათ არ ირთავენ. ამ ორი ტიპის ხასიათი იმდენათ განსხვავებულია, რომ უკაინელი შუაგულ რუსეთში გადასახლებული შეულახავათ იცავს თავის ინდივიდუალობას, აგრეთვე რუსიც, უკრაინელთა შორის დასახლებული.

ეს განსხვავება აიხსნება ანთროპოლოგიით და ისტორიით. ველიკორუსული ერი აღორძინდა ჩრდილოეთში მცირე სლავურ მოსახლეობის და ფინურ მოდგმათა დიდი უმრავლესობის შერევისაგან; ამ შერეულ ერს შერჩა სლავური ენა, მაგრამ ანთროპო-

*) ეთნოგრაფიულ უკრაინაში შედის შემდეგი გუბერნიები—კიევის, პოლტავის, პოდოლის, ვოლინის, ჩერნიგოვის, ეკატერინოსლავის, ხარკოვის, ხერსონის, ხოლმის, აღმოსავლეთ გალიციის, უკრაინული ბუკოვინის, ჰუნგრეთის უკრაინა, უკრაინული ბესარაბია, და მაზრები გროდნოს, მინსკის, ტავრიდის, დონის, კურსკის, ვორონეჟის, ყუბანის, სტავროპოლის და ჩერნომორის გუბერნიებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგიურად ფინებმა დასძლიეს სლავები; ფინების სიძლიერე სჩანს რუსების ტანსაცმელსა და მათ მითოლოგიაში.

უკრაინელებმა კი, თუმცა წარსულში განიცადეს ზოგიერთი აღმოსავლეთური გავლენა, გაცილებით უფრო წმინდათ შეინახეს სლავური ხასიათი. ეთნოგრაფიულად უკრაინელი უფრო უახლოვდება სამხრეთის სლავებს, ვიდრე რუსებს, თუმცა უკრაინული და რუსული ენები ეკუთვნიან აღმოსავლეთ სლავების ენათა ერთ ჯგუფს.

ისტორიაც ადვილათ გვაძლევს თავის მხრით განსხვავების განმარტებას. საუკუნეთა განმავლობაში უკრაინელებს და რუსებს საერთო საზღვარი არ ჰქონდათ. მომთაბარე თემებს ფართო ადგილები ეკავათ და უკრაინელი ხალხი იძულებული იყო დაეჭირა ჩრდილოეთის ნაწილი და განსაკუთრებით დასავლეთი ამ ადგილების. რუსის ერი შესდგა ჩრდილოეთით, მოსკოვთან. იგი ვერ ბედავდა ღრმად შეჭრილიყო სამხრეთის სტეპებში, სადაც მომთაბარეებს საშინელი ძალები ჰქონდათ. მხოლოდ შემდეგ, როცა ეს ძალები შემცირდა, და უკრაინელები მიიწევდენ აღმოსავლეთისკენ (17-18 საუკ.), ისინი შეხვდნენ რუსებს, რომლებიც თავის მხრით გადადიოდენ სამხრეთისკენ.

როცა ორი, ერთიმეორის ცოტად თუ ბევრად მონათესავე, ხალხი, როგორც მაგალითად სერბები და ბულგარებია, მეზობლად ცხოვრობენ საუკუნეთა მანძილზე და ჯერ კიდევ არ არიან გამოკვეთილნი ეთნიურად, ისინი აუცილებლად ახდენენ ერთმანეთზე გავლენას და საზღვარზე კიდეც აირევიან ერთმანეთში. ხოლო უკრაინელები და რუსები დაუმეზობლდენ ერთმანეთს მაშინ, როცა მათი ეთნიური კულტურა უკვე შემუშავებული იყო და აღარ შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ ერთმეორეზე.

ესევე უნდა ითქვას უკრაინულ და რუსულ ენების შესახებ. უკრაინული ენის არსებობა დღეს უკვე სადავო აღარაა. დამტკიცებულია, რომ იგი სრულიად დამოუკიდებელი ენაა და ეკუთვნის აღმოსავლეთურ სლავურ ჯგუფს (უკრაინული, რუსული და ბელორუსული). ასეთი აზრი მარტო უკრაინელ მეცნიერებს არ ეკუთვნის, ამას იზიარებენ ევროპის საუკეთესო სლავისტები და მათ შორის რუსის ფილოლოგები. როცა 1905 წ. რუსეთის მთავრობა შეეკითხა პეტერბურგის აკადემიას—შესაძლებელია თუ არა ბეჭდვა უკრაინულ ენაზეო, ისეთმა მეცნიერებმა, როგორიც იყვნენ შახმატოვი, კორში, ფორტუნატოვი, ლაპო-დანილევსკი, ოვსიანიკოვ-კულიკოვსკი, წარადგინეს მოხსენება, სადაც გადაჭრით ამტკიცებდენ მეცნიერულად, რომ უკრაინული სრულიად განსხვავებული ენაა. და თავის დებულების დასადასტურებლად რუსის მეცნიერებმა მოიყვანეს თითქმის იგივე ისტორიული განმარტებანი, რომლებიც ჩვენ ზემოდ მოვიხსენიეთ.

«თვით ისტორიის დასაწყისში საერთო რუსული ენა დანაწილებული იყო დიალექტურად, რაც გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ რუსის თემები დაყოფილი იყვნენ სამ ჯგუფად: ჯგუფი ჩრდილოეთისა, ჯგუფი ცენტრისა და ჯგუფი სამხრეთისა. სამხრეთის საბუთები, როგორც ეს აკად. სობოლევსკიმ დაამტკიცა, მე-11-12 ს. შეიცავენ უკვე უკრაინულ ენის დამახასიათებელ თვისებებს; დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უკრაინული დიდათ განსხვავდებოდა ცენტრისა და ჩრდილოეთის კილოებისაგან ჯერ კიდევ მონგოლების წინა პერიოდში. ეს განსხვავება არ შეუჩერებია აღმოსავლეთის სლავების პოლიტიკურ გაერთიანებას 10-11 ს. (კიევის სამთავრო). პირიქით, ამ ტერიტორიების პოლიტიკურმა დაშლამ, რაც შემდეგში მოხდა, პოლიტიკური ცენტრის დაარსებამ მოსკოვთან, კიევის დამხობამ მე-12 ს. ბოლოს—ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო სამხრეთის განცალკევებას, რომელიც დაამთავრა მონგოლების შემოსევამ. ლიტვურ-რუსულ სახელმწიფოში (რომელიც ბევრს უკრაინულ მიწას შეიცავდა) სამხრეთის თემები დაუახლოვდენ ცენტრის თემებს და აქედან წარმოიშვა მერმე ბელორუსული ხალხი. მხოლოდ კოლონიზაციის შემწეობით 17-18 საუკ. დაუახლოვდენ ერთმანეთს უკრაინელები და ველიკოროსები. ამგვარად ისტორიულმა პირობებმა ხელი შეუწყო უკრაინის და რუსეთის დაშორებას, ამით აიხსნება მათი ენების განსხვავებაც. ამ ხალხების ისტორიულმა ცხოვრებამ ვერ შექმნა საერთო ენა და პირიქით გააღრმავა ის განსხვავება, რომელიც ემჩნევოდა ჯერ კიდევ რუსებისა და უკრაინელების უძველეს წინაპრების კილოებს».

უკრაინელი ერი, რომლის ენა სრულებით განსხვავებულია მეზობლების ენისაგან, თავის ვრცელ ტერიტორიაზე წარმოადგენს თითქმის აბსოლუტურ ეთნიურ ერთეულს და ეს განსხვავება თუ ძნელად შესამჩნევია სადმე, მხოლოდ ჩრდილოეთის საზღვარზე და კარპატების რაიონში.

ეს შესანიშნავი მთლიანობა აიხსნება გადასახლება-გადაჯგუფებით, რომელიც ხდებოდა ხშირად უკრაინელებში გარეშე ტომების თავდასხმისა და შემოსევის დროს. სხვადასხვა რაიონების უკრაინელები ხვდებოდენ ერთმანეთს, ირეოდენ, ეგუებოდენ ერთიმეორეს და ამგვარად ჰქმნიდენ ერთს ეთნიურ ტიპს.

ალ. შულგინი

უკრაინის რესპუბლიკის რწმუნებული, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლტოლვილთა პრობლემა

ეს პრობლემა ევროპაში ახალი არაა. პოლიტიკური ემიგრაცია დიდი ხანია არსებობს აქ და ზოგიერთ ისტორიულ ხანებში მწვავე ხასიათიც მიუღია მას. ასე იყო მაგ. საფრანგეთის დიდი რევოლიციის დროს, როცა როიალისტები და კლერიკალები განდევნილ იქნენ ქვეყნიდგან და როცა ისინი მეზობელ სახელმწიფოებში ეძებდენ თავშესაფარს; იმავე საფრანგეთში რესტავრაციამ და შემდეგ, 1848 წ. გერმანიაში რევოლუციის დამარცხებამ ბევრი რევოლუციონერი აიძულეს საზღვარგარეთ გაქცევას.

პარიზის კომუნის დამარცხებას 1871 წ. ასეთივე შედეგი მოჰყვა: კომუნარები, რომელნიც დაჭერას და სიკვდილს გადაურჩნენ, საზღვარგარეთ გაიქცენ—უმთავრესათ შვეიცარიაში, ბელგიაში და ინგლისში:

მტარვალური რეჟიმი რუსეთის მეფეებისა ხომ შეუწყვეტლათ ჰქმნიდა პოლიტიკურ ემიგრაციას მთელ ერთი საუკუნის განმავალობაში და 1905 წ. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ის გახდა მასიური—გამარჯვებულ კონტრ-რევოლუციისაგან დევნილნი ათეული ათასობით მოედვენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს.

ემიგრანტთა მდგომარეობა ყოველთვის და ყოველგან გაჭირვებული იყო. მოწყვეტილნი თავის საყვარელ ქვეყანას, თავიანთ მშობლებს, ოძმე-ნათესავებს და ტოლ-ამხანაგებს, ისინი განიცდიდენ საშინელ მორალურ ტანჯვას. იტანჯებოდენ ისინი ფიზიკურათაც სამუშაოს უქონლობის გამო, მუდამ ლუკმა პურის ძებნით. მართალია მათ ეხმარებოდენ ესა თუ ის პოლიტიკური პარტია თუ კერძო პირები, მარა ეს დახმარება ვერ ქმნიდა მათ უზრუნველყოფას. სამაგიეროთ იურიდიული მხრით ისინი არ განიცდიდენ დაბრკოლებებს, რადგან ყველა განათლებული ქვეყნების კონსტიტუცია იძლეოდა საჭირო გარანტიას პოლიტიკურ ლტოლვილთათვის «თავშესაფარ უფლებისა»; საკმარისი იყო მხოლოდ პირადობის გამორკვევა, დამტკაცება იმისი, რომ ის თავისი ქვეყნიდგან გამოქცეული იყო როგორც პოლიტიკური დამნაშავე, რის შემდეგ ის ღებულობდა მთავრობისაგან ნებართვას თავისუფლად ცხოვრებისა. ამიტომ წინათ არასოდეს საკითხი ლტოლვილთა ინტერნაციონალურ მფარველობისა არ დასმულა.

ეს საკითხი პირველათ ისტორიაში წამოიჭრა მთელი თავისი სიმწვავით რუსეთშა ბოლშევიკების გამეფების შემდეგ, ვინაიდგან ასეთ ფართო ფარგლებში და ასე სისტემატიურათ დევნა ყველა იმათი, ვინაც «კაზიონურათ» არ აზროვნობს, არასოდეს არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა. ჟეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრით, როგორც სხვა ბევრ სისაძაგლეშიაც, ბოლშევიკებმა გადააჭარბეს ყველა ქვეყნის და ყველა დროის დესპოტებს, რომელნიც ოდესმე არსებულან. ამიტომ თუ წინათ ლტოლვილთა საერთო რიცხვი ათეულ ათასს არას დროს არ აღემატებოდა, დღეს ასი ათასობით ითვლება (7 წლის წინ შეკრებილი ცნობებით ის თითქმის სამ მილიონს უდრიდა).

ასეთმა გაუგონარმა რიცხვმა ემიგრაციისა შექმნა ევროპაში ერთნაირი საშიშროება. მთავრობებმა იწყეს პრაკტიკულათ-შეკვეცა საუკონოებით არსებულ «თავშესაფარ უფლებისა». ბოლშევიკების ვერაგულმა საქციელმა—ყველა ქეეყნებში მალულ აგენტების ყოლამ, პროპაგანდა-აგიტაციის წარმოებამ, კომუნისტური პარტიების და გაზეთების სუფსიდიამ და სხ.—აიძულა ისინი ომის დროს შემოღებული პასპორტის და ვიზის სისტემა დაეკანონებიათ და ასე უცხოელთა შემოშვების შესახებ დიდი სიფრთხილე გამოეჩინათ. ემიგრანტი არა სასურველი ხთებოდა კიდევ არსებული ეკონომიური კრიზისის გამოც.

ამ ნაირათ ლტოლვილთა მდგომარეობა ყოვლად უნუგეშო შეიქნა. ვის უნდა ეზრუნა მათზე? წითელი ჯვრების ნივთიერი დახმარება წვეთი იყო ზღვაში და იურიდიული მხრით მათ არავითარი კომპეტენცია არ ქონდათ.

ასეთ პირობებში ერთა ლიგის საბჭომ გადასწყვიტა ჩარევა საქმეში. მან მოიწვია 1921 წ. ზაფხულში ამ საკითხის გასარჩევათ ინტერნაციონალური კონფერენცია ჟენევაში. ამ კონფერენციამ მიილო უმთავრესი დადგენილება: შექმნა ლტოლვილთა კომისარიატის, დაწესება მათთვის სპეციალური პასპორტის («ნანსენის პასპორტი») და გამოითხოვა ერთა ლიგისგან განსაზღვრულ თანხის გადადებისა ლტოლვილთათვის სესხის სახით დახმარების გასაწევათ, როცა მათ ერთი ქვეყნიდგან მეორეში გადასვლა დასჭირდებოდათ სამუშაოს საშოვნელად.

უნდა შევნიშნოთ, რომ სწორეთ ამ დროს ჩვენი ქვეყანა ახალი დაპყრობილი იყო და სტამბოლში ქართველი ლტოლვილები გაჭირვებაში იმყოფებოდენ. საჭირო იყო მათი სხვა ქვეყნებში გადაყვანა. მაშ დახმარება ჩვენც გვესაჭიროებოდა. ამიტომ ჩვენმა მთავრობამ ინსტრუქცია მისცა თავის წარმომადგენელს ჟენევაში, წამდგარიყო ხსენებულ კონფერენციაზე, წარედგინა ქართველ ლტოლვილების შესახებ მოხსენება და მოეთხოვა დახმარება. იგი ასეც მოიქცა. ხოლო საკითხის დაახლოვებით გაცნობის შემდეგ მან ვერ სცნო მიზანშეწონილათ, ისეთი დახმარება მიეღო ჩვენი ლტოლვილთათვის, რომელიც მათ, ქართველ მებრძოლთ, უსამშობლოთა კათეგორიასთან გაასწორებდა და ესეც იმ დროს, როცა ქართული დროშა თავისუფლათ ფრიალებს საქართველოს საელჩოზე და როცა ამ უკანასკნელს სრული უფლება აქვს, თავისი პასპორტი გასცეს.

ამ ნაირათ ქართველ ლტოლვილების ინტერნაციონალურ მფარველობის ქვეშ დაყენება არ გამოდგა ჩვენი საქმისათვის სასარგებლო, იურიდიული მხრით ეს მათ არც ესაჭიროებოდათ, ნივთიერად ბევრს არას სძენდა, პოლიტიკურათ კი უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. ჩვენ უარი ვსთქვით. მარა გაჭირვება დიდი

იყო, ვსაჭიროებდით დახმარებას ისეთი გზით, რომელიც იურიდიულ მხარეს ჩვენთვის სავალდებულოთ არ გახდიდა. ამ მიზნის მისაღწევათ ჩვენმა წარმომადგენელმა მიმართა 1921 წ. სეკტემბრის დასაწყისში ერთა ლიგის საბჭოს. მისმა თავჯდომარემ ბ. ველინგტონკუმ ურჩია მას, პირადათ მოლაპარაკებოდა ყოფილ თავმჯდომარეს ბრაზილიის წარმომადგენელს ბ, დაკუნას. რომელსაც მინდობილი ქონდა საბჭოში რუსეთის ლტოლვილებზე მოხსენების გაკეთება. მას ეს მოხსენება არ გაუკეთებია, სხვას გადაანდო. მარა კერძოთ ქართველ ლტოლვილებზე კი ილაპარაკა. მართლაც ერთა ლიგის საბჭოს 3 სეკტემბრის სხდომის ოქმში აღნიშნულია:

«ბ. დაკუნამ მიაქცია ყურადღება 400 ქართველ ლტლვილებზე, რომელნიც ამ ჟამად საშინელ გაჭირვებას განიცდიან კონსტანტინოპოლში, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა სთხოვა მას ერთა ლიგის დახმარება. —საბჭო ადგენს, რომ ქართველ ლტოლვილების საკითხი ეცნობება (ევალება) დიდ კომისარს». ეს კომისარი, როგორც ვიცით, ნანსენია...

საკითხის ობიექტიური მოპყრობა მოითხოვს, აქვე აღნიშნულ იქნას შემდეგი; ბოლშევიკების დროს ემიგრაციის პირობები წინანდელზე უარესია. წინათ რუსეთის ემიგრაციას ევროპაში ყველა კლასები თანაუგრძნობდენ და თვით რეაქციონურ პარტიებშიც კი ვერ იპოვნიდით ისეთ სინდისზე ხელაღებულს, რომელსაც ემიგრანტის წინააღმდეგ გალაშქრება უზნეობათ არ ჩაეთვალა. მათი ინტერესების დაცვა მუშათა პარტიებს სავალდებულოთ მიაჩნდათ, თვე არ გავიდოდა ისე, რომ ამ პარტიების უდიდეს ბელადებს, მაგ. ბებელს, ყორესს, ვიქტორ ადლერს დასხ. რამოდენიმე საქმე არ ჰქონოდათ ემიგრანტებისა და მედგრათ არ ჩარეულიყვენ მათ სასარგებლოთ. სულ სხვაა დღეს. ბოლშევიკებმა არევ-დარევა შეიტანეს მუშათა კლასში. შექმნეს კომუნისტური პარტიები—ეს ისტორიაში გაუგონარი ერთი მთავრობის დაქირავებულთა გროვა—რომელნიც წაესევიან ყველა იმას, ვისზედაც მათი პატრონი მოსკოვი მიუთითებს. სოციალისტური პარტიები კი ვერ იჩენენ ემიგრანტების გამოსარჩლებაში ძველებურ ენერგიას.

ერთა ლიგის ყრილობამ 1921 წ. დაამტკიცა ზემოხსენებულ კონფერენციის რეზოლუციები შესახებ კომისარიატის და პასპორტის დაარსებისა, მარა კომისარიატს კრედიტი კი ბევრათ ნაკლები გაუხსნა, ვინემ კონფერენცია თხოულობდა. ყოველ შემთხვევაში ეს კრედიტის სიმცირე არ იყო მიზეზი იმის, რომ კომისარიატმა ვერ შესძლო ემიგრანტების სამუშაოზე მოწყობა, ვინაიდგან როცა საბჭომ 1924 წ. ის შრომის ინტერნაც. ბიუროს დაუქვემდებარა, კრედიტი არც მაშინ მიუმატებია. აქ მოხდა მხოლოდ მოქმედების კოორდინაცია, შრომის ინტ. ბიუროს ავტორიტეტის და გამოცდილების სარგებლობა, რის წყალობით მართლაც ემიგრაციის დიდ უმრავლესობას სამუშაო მიეცა და ამ მხრით მწვავე კრიზისიც შენელდა. ოთხი წლის შემდეგ, შრომის ბიურომ თავის მისია შესრულებულათ იცნო, სწორეთ ეს აზრი გაატარა მისმა დირექტორმა ალბერტ ტომამ თავის მოხსენებაში ლიგის მეცხრე ყრილობისადმი. ის დასძენდა, რომ კომისარიატს დაბრუნებოდა მთელი თავისი უფლება და პასუხისმგებლობა ლტოლვილებზე ზრუნვისა. ამავე დროს რჩევას იძლეოდა კომისარიატის ავტორიტეტის გასამაგრებლათ დაარსებულიყო მუდმივი მრჩეველი კომისია. ეს მოხსენება ალბერტ ტომასი სავსებით მიღებულ იქნა ყრილობის მიერ. მარა ამავე დროს ყრილობამ დაადგინა მოწვევა სპეციალური კონფერენციისა ამ წლის მაისის 16, რომლის მიზანი იქნებოდა შესწავლა იმის, თუ როგორ შეიძლება რადიკალური გადაჭრა ლტოლვილთა საკითხის და მაშასადამე კომისარიატის გაუქმებისა.

ჯერ კიდევ ამ დადგენილების ადრე ზოგიერთ მთავრობებმა გამოიჩინეს ტენდენცია კომისარიატის მოხსნისა—ზოგმა საბჭოსადმი მტრული განწყობილების მოტივით, ზოგმაც მეგობრულის. ამ მდგომარეობამ დიდი შიში და მღელვარება გამოიწვია ემიგრანტთა წრეებში. ყრილობის დადგენილების შემდეგ ამ შიშს კიდევ მეტი რეალური საფუძველი მიეცა. კომისარიატს თავისი გაუქმება არ სურდა და შეუდგა დასაყრდნობის ძებნას თვით ემიგრანტთა ორგანიზაციებში. მან მოიწვია წარსულ თებერვალში დაინტერესებულ ემიგრანტთა და მათ დამხმარე ორგანიზაციათა წარმომადგენლების კონფერენცია, რომლის უმთავრეს მიზნათ დასახულ იქმნა ლტოლვილთა იურიდიული სტატუტის შემუშავება-დაცვა.

საყურადღებოა ის, რომ ბოლშევიკები აქაც ეჩხირებოდენ. ამისთვის საკმარისია დავასახელოთ ერთი მაგალითი. 15 თებერვლის კონფერენციაზე თითქმის ყველა სომხურ ორგანიზაციების სახელით ლაპარაკობდა ერთი ვინმე მინოსიანცი, რომლის წარმოდგენილი მოხსენება გუნდრუკს უკმევდა საბჭოთა ხელისუფებას. გამოდიოდა, თითქოს ამ რეჟიმის ფასი არაფერი არსებობდეს დედამიწაზე და თითქოს მთელი სომხობა ბ. მინოსიანცში იხატებოდეს, რომლის პრობლემის რადიკალურათ გადაჭრა მხოლოდ კავკასიაში ჩასახლებით შეიძლება, რასაც ხელს უწყობს საბჭოთა მთავრობაო»—ამბობს ის—მარა ამისათვის «საჭიროა ყოველივე პოლიტიკა განდევნილი იყოს ჩვენი სამოქმედო სფეროდანო». კონფერენციამ შეიმუშავა მთელი რიგი მოთხოვნილებათა, რომელთა შორის უმთავრესი ადგილი ეჭირა კომისარიატის საჭიროების დასაბუთებას. ამ კრებამ საჭიროთ დაინახა აერჩია დელეგაცია თავისი მოთხოვნილებების მაისში ლიგის მიერ მოწვეულ კონფერენციის წინაშე დასაცველათ. არჩევნების დროს ფრიად დამახასიათებელი ინცინდენტი მოხდა. დასახელებულ იქნა სხვათა შორის სომხის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბ. ხატისიანი. ამ კანდიტატის წინააღმდეგ გაილაშქრა ბ. მინოსიანცმა. როცა მოტივი მოსთხოვეს, განაცხადა, რომ ბ. ხატისიანის წარმოდგენილი მემორანდუმი და თვით მისი პიროვნებაც პოლიტიკურია, რაც დაუშვებლათ უნდა ჩათვალოსო. მას ადვილათ დაუმტკიცეს, რომ მისი მემორანდუმიც პოლიტიკური იყო. მიუხედავათ ამისა, როცა თავმჯდომარე ბ. ჯონსონი შეეკითხა, მაშ ვინაა თქვენი კანდიდატიო,

ბ. მინოსიანცმა თავისი თავი დაასახელა. კრებამ ბ. ხატისიანი აირჩია.

16-18 მაისს შემდგარ კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ლტოლვილების საკითხის რადიკალურათ გადასაჭრელათ წამოყენებულ ორ საშუალებისთვის—ნატურალიზაციისთვის, ე. ი. იმ ქვეყნის ქვეშერდომობის მიღებისათვის, სადაც იმყოფებიან, ან მათი რუსეთში დაბრუნებისათვის—არ არსებობს აუცილებელი საჭირო პირობები. პირველი შემთხვევა ყველა ქვეყნების კომსტიტუციის შეცვლას მოითხოვს, მეორე—რუსეთში წყობილებისას. ასეთ პირობებში ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მიიღო თავის თავზე ემიგრაციის შავ-ბედის პასუხიმგებლობა, რომ წინადადება გაეკეთებია კომისარიატის მოხსნისა; ყველას სინდისის წინაშე იდგა საკითხი: რა ეშველება ამდენ ხალხს?» ეს ისარგებლა ნანსენმა და მოითხოვა კომისარიტის დატოვება. მთავრობების წარმომადგენლებმა იცნეს აუცილებლობა კომისარიატისა ამ ჟამად, მარა მოითხოვდენ, რომ კომისარიატს ყველაფერი დაემთავრებია მოკლე დროში და შემდეგ გაუქმებულიყო. ბოლოს და ბოლოს კომისარიატი დასტოვეს ათი წლით.

ამ ნაირათ ლტოლვილთა პრობლემამ ძირითადათ გადამჭრელი პასუხი ვერ ჰპოვა, ის მხოლოდ გადადებულია ათი წლის ვადით, რომლის განმავლობაშა კომისარიატი ერთა ლიგის სეკრეტარიატის დროებითი ნაწილი იქნება და მის ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებს. გარდა ამისა გაიმართება ყოველ წლიური კრება მთავრობათა კომისიისა იმავე ტიპის, რომელიც მაისში შეიკრიბა. ყველაფერი ეს ჯერ რეზოლიუციებია, მარა ეჭვი არაა, მომავალი ყრილობა ერთა ლიგისა რეზოლიუციებს დაამტკიცებს.

ხ. შავიშვილი.

ჟენევა, ივლისი. 1929 წ.

„კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი"

(პირველი და მეორე წიგნი)

ქართველ *სტუდენტთა ეროვნულ გაერთიანებას* განუზრახავს *ერთი ნაკლის შევსება: «ხელოვნებისა* და მეცნიერების *კრებულის» გამოცემა, და მისი* რედაქტორობაც *თვითონ უკისრნია. მიზანი, რომელ*საც კრებული ისახავს, არის ორნაირი: ა) ლტოლვილ ქართველ მწერალთა შემოკრება და ბ) მათი თავისუფალი სიტყვით «უფროსების და უმცროსების» დარაზმვა «ქართული კულტურის დროშის ქვეშ, რომელზედაც სისხლითაა აღბეჭდილი უდრეკი ბრძოლის მტკიცე სურვილი—თავისუფლება!»

მე განგებ ამოვწერე უკანასკნელი სიტყვები, რომ დავანახვო მკითხველს, თუმცა ცოტა უხეშათ, სადაა სიმძიმის ცენტრი. სამშობლოს თავისუფლება, მის «სამსხვერპლოზე გაერთიანებული რიგებით მისვლა»—აი პოლიტიკური მისწრაფება კრებულისა. და ეს გარემოება, რა თქმა უნდა, უშლის მას როგორც ხელოვნებისა, ისე მეცნიერებისათვის სამსახურს!

მართლაც, ძალიან ცოტას ხვდებით თქვენ, კრებულის ორსავე წიგნში, მხატვრულს. თუ არა თარგმანი რაბინდრანათ ტაგორიდან და გიუ დე მოპასანიდან, თქვენ შეგრჩებათ ხელში ორიოდე ესკიზი ქართველი ავტორებისა და ლექსები, ეს კი უხვათ, პატრიოტულ ჰანგებზე. რამდენიმე ნახატიც პირველ წიგნში და სადა ყდა ორივე წიგნისა—აი სულ.

რაც შეეხება მეცნიერულს, კიდევ უფრო ნაკლებ წააწყდებით იქ, ან უკეთ—სულაც არ წააწყდებით. შეიძლება ასეთად ითვლება ექ. თაყაიშვილის «სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები»? ჩვენი წარსულის შესასწავლათ ამ ნედლ მასალას მნიშვნელობა აქვს, თავის თავათ ცხადია, მაგრამ რამდენათ უკეთესი იქნებოდა მის მაგიერ იმავე პ-ც. პროფესორის ერთ-ერთი, პარიზში წაკითხული, ლექცია მოეთავსებიათ, საქართველოს ისტორიიდან!

გამოდის, მე საყვედურებით ვავსებ ახალგაზდა *რედაქტორებს და გამომცემლებს... აზრადაც არ მო-* *მსვლია! მათ ერთი წამოიწყეს და მეორე კი გამოუ-* *ვიდათ: ხელოვნებისა და მეცნიერების მაგიერ კრი-*ტიკა და პუბლიცისტიკა! განა ეს მათი ბრალია? არა, პირიქით, ღირსებაცაა, დიდი ღირსება, რომ მზრავს არაჩვეულებრივ პირობებში, მათ «გაბედეს», როგორც თვითონ ამბობენ, ასეთი გეგმით გამოსვლა.

მაგრამ ჯერ ისევ მიმოხილვას შევუდგები იმისას, რაც არის; ხოლო რაც არ არის, ამაზე ბოლოს ვიტყვი ორიოდე სიტყვას.

დავიწყებ სალიტერატურო კრიტიკიდან. სახეში მყავს მ. წულუკიძე და ვლ. ბაქრაძე. დიდის ინტერესით წაიკითხავთ პირველის: გალაქტიონ ტაბიძის პოეზია ჩვენი ქვეყნის დაცემამდე, და მეორის: მიხეილ ჯავახიშვილის «ჯაყოს ხიზნები». მ. წულუკიძე ფაქიზის ხელით და მხურვალე თანაგრძნობით გადმოგვიშლის გ. ტაბიძის ნაღვლიან შემოქმედებას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს პოეტი გამონაკლისია ჩვენს მწერლობაში, თვით ნიკ. ბარათაშვილისაგანაც კი განირჩევა, თავისი უიმედობით და მარტოობითო. ჩვენი კრიტიკოსი შიშს გამოსთქვამს მხოლოდ, ვაი თუ დღევანდელმა ჯოჯოხეთურმა პირობებმა მას ფერი აცვლევინოსო, და ამაშიაც მკითხველი კვერს დაუკრავს მას, სამწუხაროთ. ვლ. ბაქრაძე რამდენიმე მოსწრებული ხაზით გვითვალისწინებს თეიმურაზის და მარგოს არაბუნებრივობას «ჯაყოს ხიზნებში», და სამაგიეროთ დასრულებულ ტიპად სთვლის თვით ჯაყოს და იმავე დროს—სიმბოლოდ დღევანდელ ბოლშევიკურ არამზადობისა. კრიტიკოსს უკვირს კიდეც, როგორ გამოვიდა ჯავახიშვილის ხელიდან ასეთი შესანიშნავი ტიპიო. მართლაც, ჯავახიშვილი არ არის «სპეტაკი» ხელოვანი, მისი ენაც, ცოტა არ იყოს, «გარყვნილია» ადგილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილ, მაგრამ ნიჭი უთუოთ აქვს მას, რომანისტია, ცხადია.

ვლ. ბაქრაძეს სხვა არაფერი წაუკითხავს მისი, ეს კი სამწუხაროა. და აქ მინდა ვახსენო მისი, ვლ. ბაქრაძის, პირველი შენიშვნები ლიტერატ. და თეატრ. კრიტიკაზე კომუნისტ. პრესაში. ბაქრაძე გვაცნობს ორ კომუნისტი კრიტიკოსის—დუდუჩავას და ჩიქოვანის—კამათს ერთ სათეატრო პიესის «ანზორი»-ს შესახებ და თავის მსჯავრს სდებს. ის ბევრ სამართლიან რამეს ამბობს, უეჭველათ, მიუთითებს კომუნისტ. კრიტიკის დამახასიათებელ მხარეზე—მაბეზღრობაზე, მაგრამ არ მალავს, რომ თვით საკამათო საგანი «ანზორი» მას თვალითაც არ უნახავს, არ წაუკითხავს! როგორ მოგწონთ ეს? მე არ მინდა შევჩერდე ამაზედ და მხოლოდ ვურჩევდი «უმცროსებს», რომ ზოგ შემთხვევაში, დაასეთში განსაკუთრებით, «უფროსებს» ნუ მოეკრძალებიან!

მინდა შევჩერდე ი. მ ა ნ წ კ ა ვ ა ს «ქართულ ლილერატურაზედ», მაგრამ ვშიშობ კარგი არაფერი ვსთქვა. გარნა წერილი სიმპატიურია, მაგრამ სათაური არ იფარება მისი შინაარსით. იქ ქართულ ლიტერატურაზე კი არაა ლაპარაკი, არამედ იმაზე, თუ რა ცუდი პირობები შეუქმნია ჩვენში მტერს და რა განსაცდელში ჩაუგდია ჩვენი ერის სულიერი განვითარება. ავტორი იწყებს, მართალია, ილია და აკაკიდან, მაგრამ თითქმის იმავე გვერდზედ გადადის პოლიტიკურ მსჯელობაზედ, და ასე ბოლომდის. ის აღნიშნავს, რომ ჩვენი ეროვნული შეგნება არ იყო «წრეს გადასული, ულტრანაციონალისტურიო», მაგრამ თითქო ერიდება ხელი წაკრას უკანასკნელ, ომის წინ, «ნიღილისტურ» ხანას სწორეთ ამ სფეროში, რამაც კიდევ მეტი გვავნო...

სიამოვნებით წაიკითხავთ მეორე ახალგაზდის მ. ბ ი ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს: «ხელოვნების პრინციპები და ნიკო ფიროსმანიშვილი». სწორეთ გახარებთ ამ ახალგაზდათა დარბაისლური კილო და მჩატე სტილი, გამოსთქვამენ აზრს ლამაზათ და მკაფიოთ, ვერ ამჩნევთ გაზვიადებას... მხოლოდ ერთი კია: სამ და ნახევარ გვერდზედ მოუსურვებია ჩვენს ავტორს ასეთი დიდი და ორი თემის გაშუქება. მკითხველს აინტერესებს პრინციპებიც და ფიროსმანიშვილიც, ხოლო ავტორის კონსპექტური გადმოცემით ვერ ეცნობა ხეირიანათ ვერც ერთსა და ვერც მეორეს! სამაგიეროთ ის დასტკბება, სამწუხაროთ, უფრო მტრების მიერ აღმოჩენილი, ნიკო ფიროსმანიშვილის ორი ნახატით.

გადავალ პუბლიცისტიკაზე. თავდაპირველათ მე მინდა შევეხო ა. შ ა თ ი რ ი შ ვ ი ლ ი ს ფრიად საყურადღებო წერილს: «ერის რაობა». აქ თქვენ ერთგვარ სერიოზულ ცდას დაინახავთ ერის მეცნიერულათ განსაზღვრისა, როგორც ერთ-ერთი რთული პრობლემისა. ემყარება რა სხვადასხვა მეცნიერთა აზრებს, ახალგაზდა ავტორი ასკვნის: «ერი ისეთი საზოგადოებრივი ერთეულია, რომლის შესატყვისი კოლექტიური ცნობიერება ერთმანეთს უკავშირებს ერთ მთლიან ტერიტორიაზე გაშლილ ყველა ძირითად მცხოვრებთ, და რომელიც იმით განსხვავდება სახელმწიფოსაგან, რომ მისი კოლექტიური ცნობიერების ელემენტები ისე მჭიდროთ არიან შეზდილი თვითეულ პიროვნების ფსიქიკასთან, რომ ისინი თანდაყოლილი ინსტინქტების ანუ ბუნებრივ მიდრეკილებათა შთაბეჭდილებას სტოვებენ». განსაზღვრა ცოტათი მძიმეა, უეჭველათ, მაგრამ არსებითათ მართალი. ავტორი ძველი მეტაფიზიკურ დებულებასაც თავს აღწევს, ვითომ ერის კოლექტიური ცნობიერება ან კიდევ სული ჩვენს გარეშე არსებობდეს. არა, ის არსებობს იმდენათ, რამდენათ თვითეული ჩვენგანი, ერთი ერის ელემენტები, განვიცდით, ვსცნობთ, გამოვყოფთ მას თვით ჩვენს გონებაში. ერი განირჩევა სახელმწიფოსაგან—პირველი ორგანიული და მეორე კი მექანიკური შეერთებაა—, მაგრამ ერის განსახიერება, მისი მეობა ან კიდევ მისი ნებისყოფის რეალობაში გადასვლა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს სახით, აქედან ერი და სახელმწიფო ხშირათ ტყუპდებიან, ძნელი ხდება მათი ერთიმეორისაგან გარჩევა. სასურველი იქნებოდა, რომ ა. შათირიშვილს, მისი მდიდარი ერუდიციის მიხედვით, ამ საინტერესო ზოგადი ცდის შემდეგ, დალაგებით გაეცნო, მომავალში, მკითხველისათვის სხვადასხვა თეორიები ერის შესახებ, რაიცა, სხვათა შორის, მასაც საშუალებას მისცემდა უფრო ნათლათ ჩამოეყალიბებია თავისი კონცეპცია ამავე საგანზე.

თეორიიდან მ. ხ უ ნ დ ა ძ ე კონკრეტულათ გადადის საქართველოს საკითხზე საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. კითხვა მეტის-მეტათ საინტერესოა და თანაც პრაქტიკული ჩვენი ყოველდღიურ მუშაობაში. წერილი სქემატიურათ აცნობს მკითხველს საკითხის მდგომარეობას ამ მომენტში და ასკვნის, რომ საქართველოს უცხო ძალთა მიერ ოკუპაცია არ არყევს მის იურიდიულ უფლებებს, რომელიც მხოლოდ შებოჭილია და არა გამქრალი საერთაშორისო სამართლის მიხედვით. ავტორი ერთგვარ გამონაკლისად სახავს საქართველოს შემთხვევას თანამედროვე ავტორიტეტთა წარმოდგენით, გვპირდება ერთგვარ ანალიზსაც ამ მხრივ. მაგრამ, სამწუხაროთ, ნაკლებ დაინახავთ მას. მასალაც, რომელიც უსარგებლნია ავტორს, არ არის მთლათ უნაკლულოთ გაშუქებული, ზოგი მნიშვნელოვანი მომენტი არ არის სულაც ნახსენები. ერთი სიტყვით, შთაბეჭდილება ისეთია, თითქო ავტორი ჩქარობს, უნდა სთქვას ბევრი და ცოტასაც ვერ ასწრებს... მაშინ როდესაც მას აქვს, უეჭველათ, უნარიც და საკმაო მომზადება, რომ მოგვცეს უფრო საფუძვლიანი და ამომწურავი ანალიზი. ეს კი ძალიან საჭიროა.

ვისაც საშუალება არ ჰქონია კომუნისტურ პრესიდან გასცნობოდა საქართველოს მოსახლეობას, უკანასკნელი აღწერის მიხედვით, მას ე დ. პ ა პ ა ვ ა სასარგებლო ცნობებს აწვდის ამ საგანზე. ფრიად საგულისხმიერო შედარებითი ცხრილი მოაქვს მას, სხ. შორ., ჩვენი დედა-ქალაქის მოსახლეობის ცვლილებაზე: მაშინ როდესაც 1897 წ. ქართველებს ეჭირათ თფილისში მესამე ადგილი (26,4 პროც.), ხოლო რუსებს პირველი (29,8 პრ.) და სომხებს მეორე (29,5);—1926 წ. ქართველებს პირველი ადგილი დაუჭერიათ (38,2), სომხებს მეორე (34,1) და რუსებს კი მესამე (16,3). მარტო ეს ერთი ცხრილი მოწმობს, რომ ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველი ერი, მიუხედავათ წარმოუდგენელ ძნელი პირობებისა, ახალ პოზიციებს იკავებს.

შალვა ამირეჯიბის დაუმთავრებელი წერილი: «მარიამ დედოფალი» საუკეთესო ნიმუშია ნიჭიერ ავტორის თავისებურ ჟანრისა. მკითხველი ეცნობა ბაგრატიონთა დინასტიის დრამატიულ დასასრულს, მეფე ერეკლეს იმედების არგამართლებას საიმპერიო რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ, შეულსა და უთანხმოებას მეფეთა ოჯახში და სხ. გზადაგზა ბევრ რამ საინტერესოს გაიგებს მკითხველი მაშინდელ ჩვეულება-ადათებზე მეფის კარზედ, მათი დროს ტარებას, დარბაზობას, სახელმწიფო საქმეების გაძღოლას. ავტორს განსაკუთრებული უნარი აქვს მოთხრობითი სახე მისცეს დიდ ისტორიულ ამბების აღწერას და მკითხველიც თავს ვერ ართმევს, სანამ ბოლომდის არ ჩაიკითხავს. უდავოა, მას აქვს თავისი ტენდენციაც, ერთგვარი რომანტიზმი უძველესი დინასტიისადმი, მაგრამ ეს არ უშლის გაბედულათ აღიაროს მისი ნაკლებიც, როგორც ერთ-ერთი მიზეზი დამხობისა.

მისაბაძია გ. ნოზაძის ოპტიმიზმი, ის გვაცნობს ახალ ქალაქ-ბაღების გაშენებას დასავლეთში და ამ თავითვე ითვალისწინებს მზგავსი მშენებლობის გაჩაღებას განთავისუფლებულ სამშობლოში. სწორეთ ასე: ჩვენი ახალგაზდა ემიგრაციის მთავარი დანიშნულება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ შეისწავლოს სხვადასხვა დარგი ტეხნიკური პროგრესისა, რათა გამოიყენოს იგი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ.

კაჟის: «ევრაზიელობა» სწორეთ დროული თემაა კრებულის მკითხველთათვის. სამწუხაროთ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ახალგაზდობა, გამოდის რა თავის პოლიტიკურ-ეროვნულ რწმენიდან, ნაკლებ ეტანება რუსულ მწერლობას და აქედან პოლიტიკურ ცვალებადობას რუსთა სავადასხვა წრეებში. ეს კი არაა მიზანშეწონილი თუ გინდ ვიწრო ნაციონალისტური თვალსაზრისით: მტერს კიდევ უფრო მეტი შესწავლა სჭირია, ვინემ მოყვარეს! კაჟი გამოცდილის ხელით გვაცნობს რუსეთის ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას: ევრაზიელობას, რომელსაც ამა თუ იმ სახით უთუოთ აქვს მომავალი ხვალინდელ რუსეთში, და დღესაც ხომ ბოლშევიზმი მისი საძირკველია. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ მიმდინარეობის მესვეურნი ევრაზიაში გეოგრაფიულათ გულისხმობენ არა მარტო ეთნოგრაფიულ რუსეთს, არამედ საბჭოთა მთელს საბრძანებელს, ე. ი. არარუსებსაც! იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კაჟი ამ მხარეს ახალ მიმდინარეობისა უფრო საფუძვლიანათ გაგვაცნობს და თან მის დაფასებაზედაც გადავა.

ვერიკო სოსანი გვაცნობს ძველ ქართველ მწერლებს, გვისახელებს მათ ნაწერებსაც თითოოროლა შენიშვნებით და თავიდანვე გვაფრთხილებს: «განმეორებისათვისო». არა, თავს ნუ ვიტყუებთ, განმეორება კი არა, არ ვიცით, უნდა ბეჯითათ შევისწავლოთ! და ამიტომ, თუ ის შეასრულებს დანაპირს და თვითეულ მწერალს, უძველეს მწერალს, საფუძვლიანათ გაგვაცნობს, «პრემიასა» სანაქებოს მიიღებს—ქართულ მადლობას.

მაშ ასე. თუ ვახსენებთ ორ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას: აკაკი ასათიანის «ქართული მწერლობა უცხოეთში» და მანანი-ვარდანის ნაფთის ლიტერატურაზე, თითქო შოვათავებთ მიმოხილვას. ვამბობ «თითქო», რადგან დანარჩენი კრებულთა სიტყვა-კაზმულ და მხატვრულ განყოფილებას შეადგენს, და აქედან უმნიშვნელოვანესი უცხო ენებიდანაა გადმოღებული. რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუხვევთ ს. კასრაძის: «საზღვარზე გადასვლა»-ს და დაუმთავრებელს «სანაპირო ქალაქი», რომელნიც უთუოდ გვამცნევენ ავტორის ნიჭს, და არაჩვეულებრივ დაკვირვებას. ლექსებიც ურიგო არაა, ჩემდათავად მე ვახსენებდი მ. დადიანის «დილა»-ს სანიმუშოთ. თინათინ ჯავარიანის: «ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან» სასარგებლოა მხოლოდ კიდევ უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ ავტორს შეენელებია ნაბიჯი, ნაწილ-ნაწილათ და ვრცლათ გაეცნო მკითხველისათვის საფრანგეთის ძველი ლიტერატურის მთავარი ძეგლები. სანიმუშოთ დაიწყოს თუ გინდ «ტრისტან და იზოლტა»-თი—რა მადლიანი თემაა!

მკითხველი დამეთანხმება, რომ მიმოხილული ორი წიგნი «კავკასიონი»-სა საკმაო საბუთს იძლევა მივულოცოთ ქართველ სტუდენტთა ეროვნულ გაერთიანებას უკვე ჩატარებულ მუშაობისათვის. ეს დასაწყისია, და უნდა ითქვას, კარგი დასაწყისი, რომელიც შემდეგ და შემდეგ უთუოთ გაიხარებს და დამწიფებულ ნაყოფს გამოიღებს. ამისათვის საკმარისია შეადაროთ ერთმანეთს პირველი და მეორე წიგნი: მეორე სჯობნის პირველს, როგორც შინაარსით, ისე გარეგნობით. განა საეჭვოა, რომ მესამე და მეათე ნამდვილი გამარჯვება იქნება?

და რაში უნდა გამოიხატოს ეს გამარჯვება? პირვანდელ გეგმის დაგვირგვინებაში, კრებულის მართლა «ხელოვნებისა და მეცნიერების» ორგანოდ გადაქცევაში. მხოლოდ ნუ იფიქრებენ ახალგაზდა გამომცემლები და რედაქტორები, რომ ისინი შესძლებენ პოლიტიკის გაძევებას—«კარებიდან, ფანჯრიდან შემოუვათ»! ერთი კია, და ამაში ისინი სრულიად მართალნი არიან: კრებულის კარები ღია უნდა დარჩეს ყველა ქართველისთვის, ვისაც ნიჭი და უნარი შესწევს, განურჩევლათ მიდრეკილებათა, რა თქმა უნდა, ჩვენი ეროვნულ დროშის ქვეშ.

რაც შეიძლება მეტი ორიგინალური ნაწარმოები ხელოვნებიდან და მეცნიერებიდან, რაც შეიძლება ღრმა სულიერი განცდა და მეტი გონებრივი ვარჯიში... ხოლო დანაკლისი საუკეთესო ნიმუშების უცხო ენებიდან გადმოღებით უნდა შეივსოს. ამ მხრივ ჩვენი მწერლობის სიღარიბე გამაწითლებელია! მე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო კრებულის თაოსანთა კარგი გემოვნება, როცა ისინი რ. ტაგორით იწყებენ...

და რისი მოთავსება მოასწრეს ამ შესანიშნავ ფილოსოფოს-პოეტისა, ნებას გვაძლევს გავკადნიერდეთ და ერთი შთაბეჭდილება არ დაუმალო მკითხველს: ავტორები პატრიოტულ ლამაზ ფრაზების გადაჭარბებულ სიყვარულს იჩენენ! იდეალებიც თითქო წარსულში ეგულებათ! რასაკვირველია, სამშობლოს ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგულობაში, მისთვის მტლათ დადებაში არავინ უნდა გჯობნიდეს; წარსულის ზედმიწევნით ცოდნაც, მისი აწმყოსთან შეუწყვეტელობის აღდგენა უდიდესი მოვალეობაა ჩვენი, მაგრამ ნურვინ იტყვის, რომ მარტო ამით ფონს გავალთ. უნდა ვიხედებოდეთ წინ, უნდა მოუკვლელის წყურვილით დავეწაფოთ ცოდნას, უსაზღვრო ცოდნას, და მაშინ დავინახავთ, რომ ადამიანი, ადამიანობა არის ერის, ეროვნების პრიმატი, და ორივე ერთად კაცობრიობის მიუცილებელი და დამამშვენებელი უჯრედები.

დასასრულ, სახელწოდება «კავკასიონი» დროულია, მშვენიერი! მაგრამ ამასაც ხომ გამართლება ეჭვრება, და ეს კი ვერ დავინახეთ ორივე წიგნის გასწრივ! თუ არა ვარდანის «ნაფთი»! კავკასიის ერთა ურთიერთობა, თვითეულის შესწავლა, მათი საერთო კრედო, მათი სიმდიდრე და ადგილი საერთაშორისო ეკონომიკაში—აი დაუშრეტელი წყარო კვლევა-ძიებისა, შესწავლისა, ვიტყოდი, სიყვარულისა. დიახ, გარდა საქართველოისა, არის საერთო სამშობლოც—კავკასია. ერთი პოლიტუკური პლატფორმაც ხომ გამოფენილია: კავკასიის კონფედერაცია, თქვენი აზრი, ახალგაზდებო?!

ერთი მოწოდებაც: წაიკითხეთ გულდასმით პირველ წიგნში თაოსანთა: «ქართველ საზოგადოებას», და იმედი მაქვს, მთელის არსებით დაეხმარებით «კავკასიონს».

გუმაგი.

ბარბიუსი ღალატობს ჩაგრულთა საქმეს *)

სახელის მოხვეჭა არა კმარა ადამიანისთვის, რომ თავი დაახწიოს შეცდომებს, გასაკიცხს საქციელს და თვით საძაგლობასაც.

ბოლშევიზმმა, რომლის დანიშნულება თითქოს დაბნელება და ყველაფრის მოწამლვა იყოს, რასაც კი ხელს შეახებს, დამღუპველი გავლენა იქონია «ცეცხლის» ავტორზე. მან გამოიყვანა სამოქმედოთ ეს შესანიშნავი ნიჭიერი მწერალი, რომელმაც ადვილად წარმოიდგინა, რომ საკმარისია მწერლობა, რათა პოლიტიკური მოღვაწე გახდეს.

ბოლშევიზმს უნდა სახელი გაუტეხოს სოციალიზმს, მის წინაამდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს, რის დანახვა და გაგება არ უნდათ მარტო «უმანკოებს», და მეოცნებეთა ეკსტაზით განაგრძობენ «ერთობის» ქადაგებას.

თავის წიგნში «აი რა უყვეს საქართველოს» (Voici ce qu'on fait de la Géorgie) ბარბიუსი იმდენად დაქვეითდა, რომ ქებას შეასხამს საქართველოს ჯალათებს და ასე ბოროტად იყენებს თავის ნიჭს.

მაგრამ სად იყო ბარბიუსი 1914 წლამდის, როცა ჩვენ აღტაცებით ტაშს ვუკრავდით სოციალისტების წარმოებულ ბრძოლას რუსეთში მეფის რეჟიმის წინაამდეგ და როცა ყველა საოპოზიციო მოძრაობის სათავეში იდგნენ ქართველები? ქართველები არ იყვნენ, რომ თავი გამოიჩინეს სახელმწიფო სათათბიროში მჭერმეტყველობით, გამბედაობით, სიმტკიცით? ქართველი მებრძოლნი არ იყვნენ, რომ არ უშინდებოდენ ციხეს, გადასახლებას, დატუსაღებას და სიკვდილს, მაშინ როდესაც ბარბიუსი სწერდა მხოლოდ საეჭვო «ჯოჯოხეთს»?

და აი ეს ადამიანი, სახელოვანი რომ გახდა—ჩვენ პატივს ვსცემთ მის სახელს—დღეს ბოლშევიკებს ემსახურება მათ ბნელ საქმეებისთვის. დღეს ის სტამბავს მოსკოვის ფულით სურათებიან ჟურნალს, სადაც საინტერესო წერილებს შორის გააპარებს ხოლმე კომუნისტურ საწამლავს; მოქმედობს სწორედ ისე, როგორც ამას მოითხოვს იეზუიტების ნაცადი მეთოდი. ოდესაში ფაშისტს ბალბოს მხურვალე ოვაციებს უმართავენ, ბარბიუსი კი თავმჯდომარეობს საეჭვო თვისების ანტიფაშისტურ კონგრესს, რომლის ერთადერთი მიზანი ისაა, რომ თავს დაესხას სოციალისტებს. ის თანახმაა დაეხმაროს მოსკოვის ბატონებს—განიწმინდონ იმ შეურაცხყოფისაგან, რომელიც მიაყენა მათ მთელმა ქვეყანამ საქართველოს სამხედრო ოკუპაციის გამო, ის ამართლებს და აქებს საქართველოს დამონებას, როგორც ზოგიერთმა გერმანელმა ისტორიკოსმა შეაქო 1915 წ. ბელგიის ოკუპაცია. ის არ კმაყოფილდება მით, რომ გასვაროს დღევანდელი ჩვენი ქართველი ამხანაგები, ცთილობს სახელი გაუტეხოს 1914 წ. წინანდელ ქართველ მებრძოლთაც.

ბარბიუსო, როცა თქვენ ასე იქცევით, ელაქუცებით ძლიერებს და ცილსა სწამებთ მკვდრებსა და დევნილებს, თქვენ ყოველს პატივისცემას უკარგავთ თქვენს შრომას. ამიერითგან ყოველთვის, როცა თქვენ შეეცდებით გამოესარჩლოთ ჩაგრულთა საქმეს და გაჰკიცხოთ ფაშისტურ მთავრობათა ძალადობა, გამოვა ვინმე და მოგგონებთ, რომ თქვენ დასწერეთ «აი რა უყვეს საქართველოს», სადაც გაბედეთ ბრალი დასდოთ ადამიანებს, თავისუფლებისათვის რომ იბრძოდნენ და იტანდენ განსაცდელს, რომლის მსგავსი თქვენ არ გინახავთ და არ განგიცდიათ.

როგორ ბედავთ, თქვენ ბარბიუსო, დაბრალოთ ჩვენს ქართველ ამხანაგებს, რომ 1914 წ. ისინი მიესალმენ იმპერიალისტურ ომს? ნუ თუ არ იცით, თქვენ ცილისმწამებელ ბოლშევიკების მოსამსახურევ, რომ ჩხეიძემ მთელი პასუხისიგებლობა ომისათვის დააკისრა მეფის მთავრობას და სოციალისტური ჯგუფის სახელით, რომლის თავმჯდომარე ის იყო, ხმა არ მისცა საომარ ხარჯებს?

ბარბიუსის ასეთი სიმჩატე, რომელსაც იჩენს ბრალდებების წამოყენების დროს ქართველ სოციალისტების წინაამდეგ 1914 წლამდის, ყოველ ღირსებას უკარგავს მის წიგნს, მას ნდობა აღარა აქვს—როგორ შეგიძლიათ ენდოთ, როცა საზიზღრობა ასე აშკარაა.

*) წერილი E. P. Graber-ისა, შვეიცარიის ცნობილ პოლიტ. მოღვაწის დაიბეჭდა გაზეთ La Sentinelle-ში (№ 170).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ არ იცის, რომ ჩვენმა ქართველმა ამხანაგებმა მიწები ჩამოართვეს მსხვილ მემამულეებს და მრავალი ასი ათასი ჰექტარი გადასცეს წვრილ გლეხობას. და ბარბიუსი, რომელმაც გაიარა საქართველო უზურპატორების და ჯალათების თანხლებით და რუსის ჯარების მფარველობის ქვეშ, სწერს: «სოციალისტურმა მთავრობამ მიწები დაუტოვა მსხვილ მესაკუთრეებს, რადგან უკანასკნელნი მას მხარს უჭერდენო».

ბარბიუსი ურცხვად იმეორებს ტფილისის ჩეკის წევრის სიტყვებს: «ჩვენ არავის დავსჯით გაუსამართლებლად; ბრალდებულს ვაძლევთ ყოველ გარანტიას, კანონის მოთხოვნილებებს ყოველთვის ვასრულებთო». როდესაც ბარბიუსი ასე საქართველოს ოკუპანტ ბოლშევიკების ლაქიად გამოდის, ის იწვევს ჩვენში სიბრალულს, კიდევ მეტს—სირცხვილს. თქვენ ბარბიუსო, თქვენ, რომელმაც აღწერეთ ბალკანეთის სატუსაღოების საშინელებანი, თქვენ სწერთ ამ სამარცხვინო სიტყვებს: «დიდი ალიაქოთი ასტეხეს აჯანყებამდის დატუსაღებულ მძევლების ჯუღელის, ხომერიკის, ჩხიკვიშვილის დახვრეტის გამო. მაგრამ აქ სიტყვას მძევალს მნიშვნელობა არა აქვს. ეს პირები მხოლოდ მკვლელები და ჯალათები იყვნენ, რომელთაც მრავალი დანაშაულობა ჩაიდინეს».

ასე ლაპარაკობთ, ბარბიუსო, თქვენ პოლიციელების ენით, ყველა ქვეყნის მოძალადეთა, მტარვალების ენით? გრცხვენოდეთ, ბარბიუსო, რომელიც ვერასოდეს მოიწონებთ თავს, როგორც ხომერიკი და ჩხიკვიშვილი იმით, რომ 1917 წ. რევოლუციამ გაგათავისუფლათ ციმბირიდან, სადაც ისინი გადასახლებული იყვნენ იმისთვის, რომ ებრძოდენ მეფის მტარვალობას.

სირცხვილი თქვენ, რომელიც საზიზღარ ცილს სწამებთ ამ მკვდრებს, რათა ემსახუროთ დღევანდელ მტარვალებს.

საქართველოს საკითხი

გაზეთი Journal de Genève მეთაურს უძღვნის იმ კანონ-პროექტს, რომელიც ამას წინად შეტანილი იყო შეერთებულ შტატების სენატში წარმომადგენელის დანიშვნისათვის კავკასიის რესპუბლიკების ეროვნულ მთავრობებთან. «საბჭოებისათვის ყველაზე მწვავე დამტკივნეული ადგილი საქართველოა», სწერს გაზეთი: დაიწყებენ თუ არა ბოლშევიკები ცრემლით ლაპარაკს ხელშეკრულებათა პატივისცემაზე, მაშინვე ფაქტები აღიმართებიან მათ წინააღმდეგ, ვინაიდგან საკუთარის ნებით იცნეს საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და არ გაუვლია დიდხანს და ძალით დაესხენ თავს. საბჭოებს ეუბნებიან, თუ გულწრფელნი ხართ, ყოვლის უწინარეს გაანთავისუფლეთ რესპუბლიკა, რომელიც იძულებით დაიკავეთ თქვენი ჯარების შემწეობითო. ბოლშევიკების მოქმედება კავკასიაში არის სრული უარყოფა იმ პრინციპებისა, რომლებსაც თვითონვე აცხადებენ, და ამიტომაა, რომ ბოლშევიკების მეგობრები ყოველთვის ნერვიულობენ, როდესაც ვინმე საქართველოს სახელს ახსენებს».

შემდეგ გაზეთს მოყავს ოფიციალური ცნობა ზემოხსენებული კანონ-პროექტის შესახებ და ამბობს: «აქ აღნუსხულია მოკლედ არსება საქართველოს საკითხისა. საქართველო არაა ახალი მცენება, ხელოვნურათ შექმნილი ადამიანების ტვინით: იგია სახელმწიფო, რომელმაც თავის წარსულში თავის გმირულ ბრძოლებით დამოუკიდებლობისათვის დაამტკიცა თავის ცხოველობა და ღირსია მარადიულობისა. საგულისხმიერია ამერიკელების მხრივ, რომლეთა სახელმწიფოს წარმოშობას რელიგიური საფუძველი ჰქონდა, იმის აღნიშნვა, რომ ქრისტიანობა საქართველოში მეოთხე საუკუნიდან დამყარდა.

საქართველო, უძველესი სახელმწიფო, შეეგუა დღევნდელს მოთხოვნილებებს: დამუკიდებლობის აღდგენის დღიდან მოაწყო დემოკრატიული სახელმწიფო დამფუძნებელი კრებით, რომელიც წესიერად აირჩია ხალხმა. ეს ყველაფერი ეთანხმება ამერიკელების იდეებს.

საქართველო იცნო სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა. რატომ არ უნდა იცნოს თავის მხრით ამერიკის დიდმა რესპუბლიკამ? საქართველო ძალმომრეობით, ხიშტებით დაიკავეს ბოლშევიკებმა, რასაკვირველია ეს გარემოება ვერ შეაჩერებდა ამერიკელებს დღეს, როცა ისინი მთელს ქვეყანას უცხადებენ კელოგის პაკტს და ჰგმობენ ომს. ვერა, და სწორედ საღი საერთაშორისო მორალის გამომხატველია კანონ პროექტი, როდესაც ამბობს: შეერთებული შტატების მთავრობამ უნდა დაჰგმოს რუსეთის მოქმედება და გამოუცხადოს თავისი სიმპატია კავკასიის რესპუბლიკათა ერებსო»...

29 აგვისტო

აგვისტოს 29 და მაისის 26! ერთი მეორეზეა გადაჭედილი, ერთის გახსენება მეორეს იწვევს, ერთი უმეოროთ წარმოუდგენელია! ერთია თავისუფლება, მეორე ბრძოლა ამ თავისუფლებისათვის. ვინც არ იბრძვის თავისუფლებისათვის, ის ვერასოდეს მოიპოვებს მას, ის არცაა ღირსი თავისუფლების. თავისუფლება მაშინაა მხოლოდ სინამდვილე, როცა არის შეგნება მისი დიადობის და აუცილებლობის, და არის შეგნება მისი დაცვის საჭიროების, მისთვის თავისდადებისა და მსხვერპლის გაწირვისა.

26 მაისს ქართველობამ გამოაცხადა, რომ იგი კვლავ ერია, რომ მისი ისტორია კვლავ გრძელდება, და აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა. აგვისტოს 29-ს ქართველმა ერმა ერთის ნებით გამოაცხადა, რომ თავის თავისუფლების შელახვას არასოდეს შეურიგდება და იბრძოლებს, იბრძოლებს მარად მისი სრულ აღდგენამდის.

მოვიგონოთ აგვისტო და მივიხედოთ 26 მაისისკენ. ბრძოლა გრძელდება, ბრძოლა 26 მაისისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპარტიის მე-6 ყრილობა

«თუმცა არ ვარგა ყრილობაზე ასეთი დიდი დეფეკტების შესახებ ლაპარაკი, მაგრამ მაინც უნდა ვილაპარაკოთ»...

მ. კახიანი.

ცნობილი ხუშტურაძე—კახიანი ისევ ამეტყველდა. ამ გრამოფონის ფირფიტამ ბევრი რამ ახირებული სთქვა და ბევრი ისეთიც, რაც დაქირავებული ოქროპირის ბაგეს არ უნდა წამოცდენოდა: საბჭოთა მექანიკური ადამიანის მოდუნება, მისი სულიერი აღტყინების უკუქცევა, საღი აზრის ლიკვიდაცია. თვითონ კახიანი არ იყოს შეიძლება ურიგო კაცი, რომ საბჭოთა მათრობელა პურს თავიდან არ გაებრუებია, რომ კომპარტია მას ყოვლის მცოდნეობის ყალბი შარავანდედით არ მოსავდეს, არ აპამპულებდეს. როგორც ყველა კომუნისტს, სიმართლის თქმისა მასაც ეშინია, როგორც მშიშარას ინსტიკტიურად ეშინია ბნელი ოთახის დაზვერვის, თუგინდ იქ არც ერთი კუდიანი არ ეგულვებოდეს.

რის გაგება შეიძლება მისი მოხსენებიდან?

შევეხოთ ზოგიერთ პუნქტებს.

1. კონტრაქტაცია არის ძალდატანებაზე აგებული ეკონომიური გაყვლეფის ახალი ხერხი, რომელიც სოფლის მეურნეობას კატასტროფის შუაგულში აგდებს, უკარგავს აზრს ახალი მატერიალური დოვლათის შექმნას, ანადგურებს გლეხს. როგორც მეურნეს და აყენებს მას მთავრობის მოჯამაგირის ილოტურ მდგომარეობაში.

კომპარტიის მე-6 ყრილობაზე გამოირკვა, რომ მაზრის პატრონებს ძლიერ უჭირთ ამ მაკიაველური პოლიტიკიდან ნაშობი ღონისძიების გამოყენება, რადგან გლეხს, როგორც ტროცკი ამბობდა თავისი ყაენობის დროს, ჰქონია «ნე ტოლკო პრედრაზსუდოკ, ნო ი რაზსუდოკ». სოც. სოუსის სახით მორთმეულმა სახაზინო ფასების განრიგებამ, რომლის ძალით მთავრობის ოთხი გაბზარული კრამიტი ერთ ფუთ სიმინდათ ღირს და მთავრობის ერთი ფუთი თოკი გლეხის ერთ ფუთ პარკად,—აი ამ მგლურ სამართალმა წაშალა სრულიად ქვეყნის აღორძინების პერსპექტივა და ჩასტეხა მთავრობასა და ხალხს შორის გადებული ისედაც მერყევი ხიდი. კახიანს ვერ აუხსნია გლეხის «ჯიუტობა» და ცოფიანის დორბლსა ჰყრის: როგორ თუ ლიხაურის (გურია) ქალთა კრებამ მთავრობის ფასების დაწუნება გაბედა და, ჰოი სავალალო საკვირველებავ, ამ ოქმს კომუნისტებიც ხელს აწერენო. კახიანის რეცეპტით თურმე «უნდა შეაგნებიო გლეხობას, თუ რამდენად ხელსაყრელია მეურნეობის ეს ფორმა». ვისთვისაა სასარგებლო, ამაზე კახიანი სდუმს. მერე ვინ შეაგნებიოს გლეხობას, რომ მოსკოვის სამი ალაბი დამპალი ჩითი და საქართველოს ერთი ფუთი აბრეშუმის პარკი ერთი და იმავე ღირებულებისაა? თუ დავუმატებთ, რომ სოფლის ნაწარმოები მთავრობას ნისიად მიაქვს და «ანაღდებს» გვიან, იმასაც დაცემული ფულით ან დაბრაკული საქონელით, მივხვდებით, თუ რატომ ვერ ბედავს კახიანი ლიხაურის ამბავს კარგად ჩასდიოს და მხოლოდ საკითხის გამასხარავებით კმაყოფილდება.

2. საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის საფუძველი ეროვნული აზრის უქონლობაა. აი რა გამოირკვა ყრილობაზე.

თენგიზ ქღენტი: ტფილისის პარტიულ უჯრედებში «მოხსენებები არ კეთდება ადგილობრივ ენაზე. არ ლაპარაკობენ არც ქართულად, არც სომხურად. ლაპარაკობენ მხოლოდ რუსულად. ვინც რუსულად ლაპარაკობს, ის აქტიურ მუშაკად ითვლება, ხოლო ვინც ეს ენა არ იცის, მას პასიურ ელემენტად სთვლიან».

კვირკველია: «ქართული ენა ტფილისში ისპობა და შორს არ არის ის დრო, როცა ის სავსებით აკრძალული იქნება».

კახიანის პასუხი: «თუ ქართველმა კარგად იცის რუსული ენა, ის მით უფრო უკეთესად იმუშავებს საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად საქართველოში».

ცხადია, ურუსეთოდ და ურუსულენოთ ჩვენში ბოლშევიზმი როგორ იხეირებს! თან ბატონის ენა თუ იცი, უკეთესად მიელაქუცები.

3. იდეოლოგიური ფრონტი: სტუდენტების და პროფესურის «წმენდა»; გამოცდები პარტიული მიდგომით, სასკოლო ჩეკა. ქართულ უნივერსიტეტს ჩამოგლიჯეს ორი ფაკულტეტი, და პოლიტეხნიკუმში გათქვიფეს. ეხლა კახიანს მოეპოება «ნამდვილი ინტერნაციონალური სკოლა, სადაც რუსებს, ქართველებს და სომხებს ასწავლიან რუსულ და სომხურ ენებზე». ამრიგად საქართველოს უმაღლეს სკოლაში ქართული ენა არ მოიკითხოთ, შოვინიზმია.

პროლეტარ მწერლებს მუზების გუნდი დაფრთხობია. ვინ შეუქმია ამ მშვენიერ არსებათ, ან ვინ დაუხშო ხალისი და გრძნობა ამ ტრედიაკოვსკის მოწაფეობის უღირს მწერლუკებს? ესენი დიდხანს უმღეროდნენ საბჭოთა წითელ ყვავილს, მაგრამ დაინახეს, რომ ის ყვავილი ხელოვნურად გამოჭრილი სადეკორაციო ყვავილია და ცოტა არ იყოს გული დაუღონდათ. ვინ იცის, იქნებ მათ თავის დროზე მხოლოდ ლექსი გაყიდეს და არა ინტუიცია, გარეგნული ალერსი და არა გული. ან იქნებ უფრო სწორი ის იყოს, რომ მათში თავმოყვარეობამ გაიღვიძა, სული ლეშს ასცილდა და ამაღლდა.

ვინმე ლორთქიფანიძე, მაგალითად, აშკარად ამბობს, რომ აღარ ძალუძს «ბიბლიის ენით გალექსოს ცაკის დადგენილება, ან კომპარტიის დირექტივების დაიწყოს უშნოდ გადამღერება».

აი ნავოფი მეორე კალმის, შედარებით უფრო მჭრელის და დინამიურის:

«და ამ ბრძოლაში შორს გაექანე,
სამშობლო მხარევ, სისხლიან დაღით,
შენ ხარ უკვდავი ბრძოლის ქვეყანა,
სამყაროს გულზე—გაშლილი ბაღი.
და მე ვოცნებობ ამ გაშლილ ბაღში
უნდა ვკონავდეთ ქარხნების კონებს,
გვქონდეს სიცოცხლის გაქანებაში
სხვა ხალხთა სწორი ძალი და ღონე.

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ამ ბრძოლაში არ გვყავს მეტოქე,
და ყველა აქ ვართ დღეს მოგროვილი...
ქართული სისხლი თვით მზის ფერია
და ამ სისხლითვე დაგვიწერია
დროშაზე: ქება მოოქროვილი».

კახიანს თმა ყალყზე უდგება, როცა პოეტი უკვდავ ბრძოლაზე ლაპარაკობს, რადგან კახიანის აზრით საქართველო გაბედნიერებულია და უკუნითი უკუნისამდე საბრძოლველი აღარაფერი აქვს. პოეტს აღარ აკმაყოფილებს საბჭოთა რუხი ცხოვრების დამყარებული ატმოსფერა, ჩამორჩენილობა, კარჩაკეტილობა. მას ენატრება თავისი ქვეყნისათვის «სხვა ხალხთა სწორი ძალი და ღონე», ე. ი. დღევანდელი არტახებისაგან თავის დაღწევა და კულტურულ ერთა ოჯახში შესვლა. პოეტი მოითხოვს დინამიურობას; ის ვერ შეეგუა რუსული ყაზარმის მლაშე ჰაერს და მოსწყურდა თავისი ქვეყნის «ქება მოოქროვილი». მისი ორიგინალობა საიდუმლო კაეშანის გაზიარებაში ზოგჯერ მართლაც გასაოცარია. ის ამბობს, რომ მას სურს მივიდეს პირუტყვთან და მასთან იყოს მასავით გულკეთილ და უწყინარ არსებად, რადგან ის დაიღალა...

დიახ, დაიღალა ამდენი სისხლის ცქერით; ის დღევანდელს ლეგალურ ადამიანში ხედავს მხოლოდ კბილთამყრჯენ არსებას, სადისტს, ქვეძრომიას და ქარაფშუტას. ეს დაღლილი «პოეტი» იონა ვაკელია (9 ივლისის «კომუნისტი»).

4. აჭარის შესახებ ყრილობაზე სულ არ უნდოდათ ლაპარაკი, რათა თავისი სიგლახე არ გამოეჩინათ. მაგრამ კახიანს ენამ უყივლა და მერე დამალვა როგორღა შეიძლებოდა. პირველად ყოვლისა, ბოლშევიკებმა ერთი დიდი უსამართლობა კიდევ ჩაიდინეს აჭარლების მიმართ: მათ უსინდისოდ მიაფუჩეჩეს აჭარის მამაცური წინააღმდეგობა და თვით აჯანყებას რაღაც სოფლური გაუგებრობა უწოდეს. მაგრამ ვინ არ იცის, რომ აჭარაში იყო ნამდვილი აჯანყება, ნამდვილი თავდადება მუხანათ მტრის მოსაგერიებლად. საერთოდ მუსულმანი ქართველი ფაქიზი და დიდსულოვანია, და როცა ბრიყვი კომსომოლი მის რწმენას და თავმოყვარეობას აბუჩად იგდებს, რა გასაკვირია, რომ აჭარლებმა არ დაინდვეს ეს წითელი ნიანგები და კუდით ქვა ასროლიეს. ბოლშევიკური ყრილობა შეეცადა, მაგრამ აჯანყების მიზეზი მაინც ვერ მიაფუჩეჩა. ეს მიზეზი იყო «ადმინისტრატიული ძალდატანება, რელიგიასთან ბრძოლა, სასულიერო სკოლების დახურვა, მორწმუნეთა რელიგიური გრძნობის შელახვა» და სხვა მრავალი.

აი რა სიტყვები მიახალა ცხვირპირში კომუნისტებს აჭარელმა გუგუნავამ: «მთავრობა თვითონ არის დამნაშავე; მან ვერ გაითვალისწინა, რომ ასე ადვილი არ არის მუსლიმანს აიძულონ თავისი სარწმუნოების დავიწყება, ჩადრი და მედრესი—ეს მუსლიმანის სახელი და სინიდისია»-ო.

სასწორი რომ მოიტანო და ბოლშევიკების მხარეზე იალბუზი დასდო, სასწორი მაინც აჭარლებისკენ გადაიწევა, რადგან სიმართლე და ზნეობა ამათ მხარეზეა.

მეორე აჯანყებული ამბობს, რომ მთავრობა მის ინტიმურ საკითხში ერეოდა და მთელს ოჯახს დანგრევით უქადოდა.

«მე ამას წინად ცოლი შევირთე... მერე ჩემი ცოლი გაიწვიეს მაზრაში, შემდეგ კიდევ ბათომში. ბოლოს და ბოლოს ვისთვის შევირთე ცოლი, ჩემთვის თუ თქვენთვისაო? მე ამის გამო მზად ვარ წყალში გადავარდეო».

როცა ბოლშევიკურ ყრილობას აჭარელის ასეთი სასოწარკვეთილებით აღსავსე ჩვენება გააცნეს, ყრილობამ ნაღვლისა და მონანიების მაგივრად ერთი მადიანათ გადიხარხარა (ა. წ. 6 ივლისის «კომუნისტი», გვ. 2), რადგან აჭარელის უმწეო მდგომარეობა ბოლშევიკებში სიცილის მეტს არაფერს იწვევს. ამის შემდეგ ბოლშევიკების ნიანგის ცრემლებს რაღა დაეჯერება.

ია.

რას სწერენ ბოლშევიკებზე

ვენის «N. Fr. presse» აღნიშნავს დიდი გერმანელი მრეწველის ოტტო დოიჩის წერილს, რომელიც წინად თავგამოდებით იცავდა ეკონომიურ თანამშრომლობას საბჭოებთან. დოიჩი გასულ გაზაფხულზე იყო რუსეთში და ამბობს, რომ ბოლშევიკების რესპუბლიკა გაკოტრებამდეა მისულიო. რაკი ხორბალი ვეღარ გამოაქვს უცხოეთში, საბჭოთა მთავრობას აღარ მოეპოვება საშუალება შეინახოს თავისი ინდუსტრია და საზღვარგარეთიდგან გამოიწეროს საჭირო იარაღები და მანქანები. ქვეყნის წარმოება შემცირდა და აგრეწოდებული ხუთწლიანი გეგმები უბრალო ხრიკია უცხოელების მოსატყუებლათ და მათგან კრედიტის მისაღებად. გაზეთი ფიქრობს, რომ სულ ახლო მომავალში შეუძლებელი გახდება ყოველგვარი ეკონომიური ურთიერთობა რუსეთთან.

* * *

ბოლშევიკურ გაზეთებში მრავლად იბეჭდება წერილები რედაქციის მიმართ, სადაც ავტორები მწარედ ჩივიან საბჭოთა ინდუსტრიის ნაწარმოების სრული უვარგისობის გამო. «შეუძლებელია, სწერს ერთი კორესპონდენტი «კრასნაია გაზ.»: მიღება სრული ტანსაცმელისა ერთი და იმავე ნაჭერისაგან, ერთი და იმავე ტანისათვის. ადამიანი კიდევ შეურიგდება იმ გარემოებას, რომ პიჯაკი ერთი მატერიისაგანაა და შალვარი მეორესაგან. მაგრამ ხშირად ერთი შალვარი შეკერილია სხვა და სხვა მატერიისაგან. ისეც მოხდება ხოლმე, რომ ნაყიდს პიჯაკს მხოლოდ ერთი სახელო აქვს. როცა მყიდველი ამ გარემოებას მიაქცევს ყურადღებას, მას ეუბნებიან: «მოქალაქე, წაიღე, რასაც გაძლევენ, თორემ სულ ცალიერი დარჩებიო». მეორე კომუნისტურ გაზეთში «კომსომ. პრავდაში» ვკითხულობთ: «ცამეტი ფეხსაცმელი ვიყიდე სახელმწიფოს მაღაზიაში, არც ერთს არ გაუძლია რამდენიმე წუთის შემდეგ, როგორც კი გავიარე, ყველა დაიშალა, დაირღვა. მოვითხოვე გამოცვლა. მაღაზიის გამგემ უპროტესტოთ გამომიცვალა, ხოლო მითხრა: თვითონ შენ აირჩიე, რადგან ყველა ფეხსაცმელი ერთი ღირსების არისო.»

* * *

გაზეთები გადმოგვცემენ ასეთ საშინელ ამბავს: საბჭოთა რესპუბლიკის ექიმთა კონგრესზე მოსკოვში დიდი კამათი გაიმართა იმ საკითხის გარშემო— საბჭოთა ექიმმა უნდა აღმოუჩინოს საექიმო დახმარება თავის «კლასობრივ მტერს», ე. ი. არა მუშათა კლასის წევრს, თუ არაო. კრების კომუნისტმა წევრებმა წინადადება შეიტანეს, რომ აკრძალული ყოფილიყო გადაჭრით საბჭოთა ექიმისათვის დახმარების აღმოჩენა იმ პირთათვის, რომლებიც არ ეკუთვნიან პროლეტარიატს, ვინაიდგან კლასთა ბრძოლაში ყოველი საშუალება დასაშვებია და ავათმყოფობას შეუძლია კიდეც დაეხმაროს მთავრობას ბურჟუაზიის მოსასპობად. კონგრესმა პრინციპიალურად მოიწონა ეს აზრი. ხოლო რადგან შესაძლებელია ბურჟუაზიის ბავშვებისაგან ავათმყოფობა პროლეტარიატის ბავშვებს გადაედვას, ამიტომ ექიმებს ნება აქვთ უწამლონ ბურჟუებს გადამდებ ავათმყოფობის დროსო.

* * *

ვინმე ჯესსე რაიტი, ამერიკელი მრეწველი, ეხლა ხან დაბრუნდა რუსეთიდგან და ასე გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს; «მე გავემგზარე საბჭოთა რუსეთში ამერიკელ ტურისტებთან ერთად. გემით მოვედით სტოკღოლმიდან პეტერბურგში. პირველი ფეხის გადადგისთანავე თვალში მეცა მცხოვრებთა საღატაკე. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ადამიანებს შეეძლოთ ასეთ სიბინძურეში ცხოვრება, როგორიც ვნახე პეტერბურგში. მერე ვიყავი მოსკოვში, კიევში, სევასტოპოლში, იალტაში და დავრწმუნდი, რომ ყოველგან სრული გაჭირვება და სასოწარკვეთილებაა. ჩვენ დავტოვეთ რუსეთი ოთხი დღით ადრე, ვიდრე განზრახული გვქონდა. არსად არ მინახავს ამდენი სალდათი და შეიარაღებული სამოქალაქო პირი. ჩვენ მოგვიყენეს ოფიციალური გიდები, რომელთაც დაგვათვალიერებიეს მუშათა დასასვენებელი სახლები და სკოლები. გზაში დანგრეული სახლები შეგვხდა, გიდებს ამაზე რომ მიუთითეთ, არა გვიპასუხეს რა. ბოლშევიკები ტურისტებს უჩვენებენ, რაც თვითონ უნდათ».

ძალა ერთობაშია

(წერილი სპარსეთიდან)

ვინ არ იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობა იმ მომაკდავ ავადმყოფს წააგავს, რომელსაც საკუთარი საღი სულის მაგივრად ხელოვნურად შემზადებულ ჰავას უბერავენ; თვით სათავეში მდგომი კომისრებმაც ეს კარგათ იციან, მხოლოდ არც ჩვენ და არც იმათ არ იციან, თუ ვინ შეცვლის მათ, ვინ იქნება იმათი მოადგილენი. ერთი კი ეჭვს გარეშეა, იქნებიან რუსები, ისიც ვიცით, რომ იმათი მემკვიდრენი იქნებიან სოციალისტები, თუ კონსერვატორები, ყველანი ჩვენზე ბატონობას მოისურვებენ, ვინაიდგან დროთა სვლაში ისინი შეეჩვიენ ბატონობა-ბრძანებლობას, რომლის სიტკბოების თავის მინებება ადვილი საქმე არ არის. მეორეთ ისიც ვიცით, რომ თუ ვერ გაუთანასწორდით რეალურ ძალაში, მათთან მეგობრობა თავის მოტყუილება იქნება.

ვიცით, რომ ძალა ერთობაშია და ამ შეერთებაზე უნდა ვიზრუნოთ. ამ ერთობის საჭიროებას სხვა დაჩაგრული ერებიც ჰგრძნობენ. არ იქნება გადამეტებული, თუ ვიტყვით, რომ თურქისთანი თავის მოწინავე ავანგარდად ქართველებსა სთვლის და მომავალ კავკასიის კონფედერაციასთან დაახლოვებას ოცნებობს.

მართალია, გულზე ხელ-დაკრეფილნი არ ვსხედვართ. მაგრამ მაინც და მაინც დიდს არაფერს ვაკეთებთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჟურნალ «პრომეთეს». მართალია, ეს ჟურნალი დიდ როლს თამაშობს,—მაგრამ არა კავკასია-უკრაინა-თურქისთანის მდგომარეობა ხალხში-მასსაში, არამედ ევროპის სახელმწიფოებში და მაღალ საზოგადოებებში. მაშასადამე საჭიროა დაარსება ისეთი გამოცემისა, რომელიც ფართე მასსის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, კულტურულათ და პოლიტიკურად ხალხს მოამზადებს და მომავალ თავისუფლებას შეანარჩუნებინებს.

ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ ზემოაღნიშნული ერების წარმომადგენლებმა ჩვენი თაოსნობა-ინიციატივით. კავკასია თურქისთანით ზურგ გამაგრებული მჭიდროთ უნდა შეუკავშირდეს უკრაინას და სხვებს. ამ საქმეს დაგვიანება არ უნდა...

ეგრისელი.

ბარბიუსის წიგნის წინააღმდეგ.

ჩვენ, სპარსეთში მყოფი ქართველები პროტესტს უცხადებთ ჰანრი ბარბიუსს იმ ყალბი წიგნის შედგენისათვის, რომელიც მას გამოუცია ფრანგულ ენაზე ამ სათაურით: «აი რა უყვეს საქართველოს», და ვსახავთ მას ყალბ მწერლათ და ბოლშევიკების შესყიდულ აგენტად. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი შეგნებული საზოგადოება შესაფერ პასუხს გასცემს მას. რომ სხვა მისებრ ბოლშევიკების მოსყიდულმა მწერლებმა ვერ გაბედონ სინამდვილის გადაჩქმალვა და ჩვენი ერის აბუჩათ აგდება.

(ოცდა სამი კაცის ხელ მოწერილი საპროტესტო ოქმი ინახება ჩემთან).

ეგრისელი.

შემოწირულება.

საქ. სოც. დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროომ მიიღო პოლიტ. გადასახლებულთათვის:

პოლონეთი. ვ. ქარცივაძისაგან 100 ფრანკი.

Rédaction et Administration.
M. J. GOBETCHIA
7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.